პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

□ ოთხშაბათი 12 ივლისი 1978 წ. □ № 163 (17207) □ ფასი 2 კაპ.

1920 ■ გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან □ 1978

საბოლოო პარტიული ორგანიზაციების, საბჭოების, პროფკავშირების და კომკავშირის საპატიო ვალი და ყოველდღიური მოვალეობაა გასწიონ ფართო მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, მუდამ დაუჭირონ მხარი საოფლის მშრომელთა შემოქმედებითს ძიებასა და ინიციატივას, განავითარონ სოციალისტური შეჯიბრება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებიდან.

თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა ცენტრალური გაზეთების, ჟურნალების, გამომცემლობების, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის, საინფორმაციო სააგენტოებისა და სხვა იდეოლოგიური დაწესებულებების ხელმძღვანელთა თათბირი. განიხილეს მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა ამ საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი, რომლის მიზანია განმარტოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „სსრ კავშირის საოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ზოგიერთი საკითხები", რომელიც დიდ წვლილს მატებს ლენინური აგრარული პოლიტიკის შემოქმედებითს განვითარებას, და ორგანიზაციო გაუწიონ მათს შესრულებას.

თათბირზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა თ. ფ. კულაკოვმა. თათბირში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვ. ზიმიანინი.

აღინიშნა, რომ პარტიის ახლანდელი აგრარული პოლიტიკა, რომელსაც დასაბამი მეიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმზე, მეცნიერულად ასახავს სოციალისტური საზოგადოების მოთხოვნილებებსა და ახალ პირობებს. მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა უპირველესი ამოცანა, აღინიშნა თათბირზე, ის არის, რომ გააცნონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება მშრომელთა უფროოოეს მასებს, აქტიურად შეიწყონ ხელი იმას, რომ ყველა პარტორგანიზაციამ და კომუნისტმა ღრმად გააანალიზოს თანამედროვე ეტაპზე პარტიის აგრარული პოლიტიკის ამოცანების არსი. ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულება ყველა პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციის ძირითადი ამოცანაა. ბეჭდვითი სიტყვის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ვალია ამ ამოცანების გაგებით შეაიარაღონ მილიონობით ადამიანი, ფართა შეასხან მათ, წარმართონ მათი მეცადინეობა პარტიის მიერ დასახული საოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის განხორციელებისათვის.

მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა ყურადღების ცენტრში უნდა იყოს საოფლის მეურნეობის ყველა დარგის დაჩქარებული განვითარებისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის, მექანიზაციის, ქიმიზაციისა და მოწეწის მილიორაციის ტემპის გაძლიერებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის აღმავლობისათვის მიმდინარე ბრძოლა. თათბირზე აღინიშნა, რომ უფრო ფართოდ უნდა ამუქცდნენ რუსეთის სფს რესპუბლიკის არაშავმოწანიადაგიანი ზონის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთისა და ქვეყნის სხვა რაიონების საოფლის მეურნეობის კომპლექსური განვითარების პრობლემებს.

ბეჭდვითი სიტყვა, ტელევიზია და რადიო მოწოდებული არიან ყოველთანარად უმჯობესებენ მხარის შრომითი კოლექტივების შემოქმედებითს ძიებასა და ინიციატივას, რომლებიც ეძებენ დამატებითს რეზერვებს და ეხსნულობენ მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებულ ვალდებულებებს, ოპერატიულად და საინტერესოდ უწევდნენ პროპაგანდას მხვნელ-მთესველთა, მეცხოველეთა, მექანიზატორთა შრომითს თაოსნობებს, გააძლიერონ სოციალისტური შეჯიბრების გაქანება, აქტიურად იღვაწონ მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე პრაქტიკის დანერგვისათვის.

ბეჭდვითმა სიტყვამ დიდი წვლილი უნდა შეიტანოს საოფლის სოციალური განვითარების, საოფლის მოსახლეობის სანიერო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების ძირეული გაუმჯობესების, სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან შრომის, ყოფის, ადამიანური ურთიერთობების კულტურის შეიწყნის ამოცანების გადაწყვეტაში.

ყველანაზე ბეჭდვითი სიტყვის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა საფუძველიანად გააუქოს მრეწველობის წამყვანი როლი, ასახოს მისი იმ დარგების სიმძლავრეთა სწრაფი ზრდა, რომლებიც საოფელს ეესახურებიან. ბეჭდვითი სიტყვის, ტელევიზიისა და რადიოს წამყვანი თემაა დამაჯერებლად გააუქონ მასებში მიმდინარე ორგანიზაციული, პარტიულ-პოლიტიკური და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა, საოფლის კომუნისტთა აქტიურ-ეფექტიანი როლი, საოფლის მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების სრულყოფა. საოფლის მეურნეობის აღმავლობა მთელი პარტიის, მთელი ხალხის საქმეა და თითოეულმა შრომითმა კოლექტივმა უნდა იპოვოს თავისი ადგილი ამ ამოცანის გადაწყვეტაში.

ბეჭდვითი სიტყვის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ორგანოებს რჩევა მიეცათ ამჟამად ძირითადი ყურადღება დაუთმონ უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო კამპანიის — მოსავლის უდანაკარგოდ და მოკლე ვადაში აღების ორგანიზებული მოწყობის, თითოეული კოლოგრამი მზა პროდუქციის შენარჩუნებისა და მომხმარებლისათვის მიწოდების, ადგილ მეურნეობაში საკვების საჭირო მარაგის შექმნის კამპანიის ოპერატიულ გაშუქების.

ს. ს. გრომიკო ქენიას გაემგზავრა

31 ივლისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო მოსკოვიდან ქენიას გაემგზავრა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან ს. ვენსთან შესახვედრად.

„ვნუკოვოს აეროდრომზე ა. ა. გრომიკო გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ი. ვ. ანდროპოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საქ-დესი).

ახალი აღმავლობის გზით

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს მშრომელები ენერგიულად, შემოქმედებითად შრომობენ ჩვენი პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესახრულებლად. მეათე ხუთწლედის მეორე ნახევარი ჩვენს ქვეყანაში დაიწყო ახალი მძლავრი აღმავლობით, რომელიც გამოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებითა და ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებით სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის შესახებ. მოხსენებაში ღრმად, მეცნიერულად არის განალიზებული პარტიის აგრარული პოლიტიკა და პრაქტიკული საქმიანობა თანამედროვე ეტაპზე, განსაზღვრულია მისი შემდგომი აღმავლობის გზები და კონკრეტული ღონისძიებანი. გუშინ პრესაში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისა და ეფექტიანობის ამაღლების საკითხებზე, რომლებიც ერთხმად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა.

როგორც ვიცით, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმმა დასაბამი მისცა პარტიის ლენინური აგრარული პოლიტიკის განვითარების ახალ ეტაპს. ამ პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „თანამედროვე აგრარული პოლიტიკა არის განვითარებული სოციალიზმის პირობებში პარტიის ლენინური სტრატეგია და ტაქტიკა სოფლის მეურნეობის დარგში".

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შემდეგ განვლილ პერიოდში მნიშვნელოვნად განმტკიცდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შეიქმნა მზარდი ინდუსტრიული კომპლექსი, რომელიც მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას.

განვითარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე, გაუმჯობესდა წარმოებისა და შესყიდვის დაგეგმვა, ფასწარმოქმნა, დაკრედიტება. რამაც ხელი შეუწყო საზოგადოებრივ მეურნეობათა ეკონომიკური გაძლიერების საქმეს. სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის კომპლექსური პროგრამის განხორციელებამ უზრუნველყო შრომის ნაყოფიერების ზრდა, ამან კი შეხამნილად წასწია წინ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების საქმე. როგორც პლენუმზე აღინიშნა, უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა 40 პროცენტით გაზარდა ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმამდე ამავე პერიოდთან შედარებით, ხოლო მეცხოველეობის პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა — 45 პროცენტით გადიდდა.

ყოველივე ეს ნათლად ჩანს ჩვენი რესპუბლიკის მაგალითითაც. მარტო იმ ფაქტის აღნიშვნა რად ღირს, რომ სახალხო მეურნეობაში მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის უკანასკნელი წლების მანძილზე ზედიზედ ხუთჯერ დაჯილდოდა საქართველო სკკპ ცენტრალური კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. ამ დიდი ჯილდოების მოპოვებაში ერთ-ერთი პირველი ადგილი საბჭოთა საქართველოს სოფლის მშრომელებს ეკუთვნით. უკანასკნელ წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შეუნელებელი, ყოველდღიური ზრუნვის შედეგად მანამდე არნახული წარმატებები მოიპოვეს ჩვენმა ხახელოვანმა მეჩაიეებმა, რომლებმაც ხუთწლედის მეორე წლის 412 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მისცეს სამშობლოს და ამით ხუთწლედის ბოლო წლის მიჯნები დალაშქრეს. დიდ გამარჯვებას მიაღწიეს აგრეთვე ჩვენმა მემანდარინეებმა, მეციტრუსეებმა, მეხილეებმა, მებოსტნეებმა, მეეარხლეებმა, მევენახეებმა.

საბჭოთა საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა შედეგია იმ დიდი მზრუნველობისა, რომელსაც იჩენენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიუროო, პირადად ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. ამის ნათელი დადასტურებაა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილება, რომელმაც დიდი როლი შეასრულა შუამავლის ლენინური სტილის დამკვიდრებაში, ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის გაძლიერებაში. რესპუბლიკაში ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნაში. ამან კი ხასიათეთ ძვრები გამოიწვია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმმა განხილა იმ დიდმნიშვნელოვანი საკითხი — „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების თაობაზე". სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების ღონისძიებათა შესახებ". ამ პლენუმმა რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება დასახა, რომელიც თანამიმდევრულად სრულდება.

მართალია, უკანასკნელ წლებში წინანდელთან შედარებით რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად განვითარდა მეცხოველეობა. მაგრამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებაში აღინიშნა, რომ „ირსებითს გაუმჯობესებას ვერ მიაღწიეს მეცხოველეობაში. განსაკუთრებით პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებაში, ამიერკავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკებმა". სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეს გაფრთხილება მოწმობს, რომ ჩვენ მეცხოველეობაში ჯერ კიდევ ძირეული გარდაქმნები ვერ მოვახდინეთ, ჯერ კიდევ დაბალია ხორცისა და რძის წარმოების დონე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტიც არაერთი დიდმნიშვნელოვანი დადგენილებისა და გაფრთხილების მიუხედავად მთელი რიგი რაიონებში მეურნეობებში ნაკლები ყურადღება ექცევა ხაზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის საკითხს. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ნოემერ პირველი პრობლემაა საკვები ბაზა. შარშან ბევრმა რაიონმა ხაკმაოზე მეტი უხეში და წვნიანი საკვები დაამზადა, მაგრამ ზოგან ამ საკითხზე ყურადღება შეანელეს და შედეგმაც არ დააყოვნა — ზამთარსა და გაზაფხულზე საკვები შემოაკლდათ, იყო პირუტყვის გაწყდომის შემთხვევებიც, რაც ზოოვეტერინარული წესების უხეში დარღვევის შედეგიც არის. სამწუხაროა, რომ ამის შემდეგ ზოგან კიდევ შეიმჩნევა ნაკლოვანებები და ხარვეზები. წლევანდელი მაჩვენებლების მიხედვით ბევრ რაიონში შემცირდა ხორცისა და რძის წარმოება. ნაკლოვანებებია აგრეთვე ნამატის მიღების საქმეშიც. ყაზბეგის რაიონში ხორცის წარმოების დავალება ზაფხულის დამდეგისათვის 11 პროცენტით იყო შესრულებული, შარშანდელთან შედარებით 340 ცენტნერით შემცირდა ხორცის წარმოება, თიანეთის რაიონში ხორცის წარმოების გეგმა 21 პროცენტით შესრულდა, თეძრი წყაროს რაიონში — 22 პროცენტით, დუშეთისაში — 19 პროცენტით, ლენტეხისაში — 17 პროცენტით. საერთოდ რესპუბლიკაში ხორცის წარმოების გეგმა 32 პროცენტით შესრულდა, რძისა — 41 პროცენტით. რძის წარმოება შარშანდელთან შედარებით რესპუბლიკის უმეტეს რაიონებში გაუარესდა. ამის მიზეზი ის არის, რომ გაჭიანურებულ ზამთარში და გაზაფხულზე პირუტყვს ხაკვები არ ეყო.

შარშანდელ მწარე გაკვეთილს მთელი რიგი რაიონების ხაზოგადოებრივი მეურნეობები წლეულსაც ვერ ითვალისწინებენ. ეახეთის რაიონების ზოგიერთმა კოლმეურნეობამ და ხაბეთა მეურნეობამ დროზე ვერ უზრუნველყო ბუნებრივი და ნათესი ბალახების თიბვა, ამის გამო ზოგან ჩამორჩნენ თივიანა და სენაჟის დამზადების ხაქმეში. ზოგან ბუნებრივი ბალახები გადამწიფდა და, რა თქმა უნდა, ხეღლდან გაუშვეს მაღალუყათიანი თივის დამზადების ვადები. ეს პირველ რიგში ითქმის ლაგოდეხის, ხაგარეჯოს, გურჯაანის, თელავის, ახმეტის, ხიდისაის, წილიანის, წილიანი ყაროს რაიონების მთელ რიგ ხაზოგადოებრივ მეურნეობებზე.

პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების საპატიო ვალია ყოველ მშრომელს გააცნონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის მასალები, შეადგინონ მოქმედების კონკრეტული გეგმები, მაღალორგანიზებულ დონეზე მოაწყონ სოფლის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება, რომ წლეულს მივაღწიოთ მაღალ შრომითს მაჩვენებლებს, მატიეიე საფუძველი შევქმნათ მეათე ხუთწლედის დავალებათა შესახრულებლად.

მზოლოდ ბეჯითი შრომით!

15-16 ივლისს სათოხნი კულტურების რესპუბლიკური დათვალიერებაა

არც ერთი ჰექტარი — დაუმუშავებელი ნათესი

„მივცეთ სამშობლოს მინდვრებისა და ფერმების მეტი პროდუქცია" გიგანტელთა ამ მოწოდებას ფართოდ დაუჭირეს მხარი ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც უაღრესად არახელსაყრელი ამინდის პირობებში იბრძვიან ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის.

ბევრ რაიონში წარმატებით მიმდინარეობს მზადება სათოხნი კულტურების რესპუბლიკური დათვალიერებისათვის, რომელიც 15-16 ივლისს ეწყობა; მემანდარეებმა ყველაფერი იღონეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სწრაფი ტემპისა და მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, მაქსიმალურად იყენებენ სათოხნი კულტურების განმეორებითი ნათესებიდან დამატებითი მოსავლის მიღების შესაძლებლობებს, დროულად ამუშავებენ ნათესებს.

ამასთან ზოგ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში დროულად და ხარისხიანად არ სრულდება ნათესების მოვლის სამუშაოები, სრული დატვირთვით არ არის გამოყენებული მთელი არსებული მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი რესურსები.

დათვალიერებამდე 3-4 დღე დარჩა. სათოხნი კულტურების რაიონული კომისიების ვალია შეუმოწმებელი არ დარჩეთ ახლა არც ერთი ჰექტარი ნათესი. მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ სასოფლო-სამეურნეო საქმეთა შესრულების ვალებისა და ხარისხის დაღვეევის შემთხვევების გამოვლენას, მკაცრი კონტროლი უნდა დაუწესდეს მინდვრის სამუშაოთა ნთელ მიმდინარეობას.

დათვალიერების ორგანიზებულად მოწყობაში სოფლის მშრომელებთან ერთად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა შრომითმა კოლექტივმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებმა, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების პასუხისმგებელმა მუშაკებმა. მათ უნდა უზრუნველყონ, რომ სოფლად ფართოდ გაჩაღდეს მუშაობა გიგანტელთა მაგალითისამებრ, რომლებმაც თავდადებული შრომის შედეგად თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს და მზად არიან შეასრულონ მიმდინარე წლის და მთლიანად ხუთწლედის გეგმა-ვალდებულებები.

მუხრანელთა ყანებში

დათვალიერებისათვის საგულისხმოდ ემზადებიან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მესიმინდეები. აქ სიმინდს 72 ჰექტარი აქვს დათმობილი. მუხრანელი მესიმინდეები ტოლს არ უდებენ რუსეთის ოლქის ხალხის რაიონის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა „გიგანტის" მშრომელებს, რომლებმაც თავდადებული შრომის შედეგად შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს სახელმწიფოსათვის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების მოყიდვის საქმეში და ვალდებულებას კისრულობენ ყოველ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 28 ცენტნერის ნაცვლად 31 ცენტნერი სიმინდი მოიწიონ. სურათებზე: სიმინდის ყანების დამუშავება მუხრანში. ზემოთ — მთავარი აგრონომი მარატ მგელაძე (მარცხნივ) და მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი იური მხატვრიშვილი ამოწმებენ სიმინდის ნათესის დამუშავების ხარისხს, ქვემოთ).

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

(დასასრული მე-2 გვ.).

სამშობლოს სამხრეთი მიჯნების სადარაჯოზე

გათუმის სასაზღვრო რაზმს გადაეცა წითელი დროშის ორდენი

გათუმი. (საქინფორმის კორ). ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის გათუმის სასაზღვრო რაზმი სოციალისტური სამშობლოს შეიარაღებულ დაცვაში დამსახურებისა და სახელმწიფო საზღვრის წარმატებით დაცვისათვის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოდა.

სახელოვანი საბრძოლო გზა გამოიარა რაზმმა, რომელიც ლეგენდარული მე-11 წითელი არმიის ერთ-ერთი ბატალიონის საფუძველზე შეიქმნა. მწვანეკუდიანმა მეომრებმა ბევრი გმირული ფურცელი ჩასწერეს სასაზღვრო ჯარების ისტორიაში.

დღეს ახალგაზრდა მეომრებს სამშობლოს უსაზღვრო ერთგულების, მაღალი საბრძოლო გაწვრთნილობის მაგალითს უჩვენებენ ოფიცრები ფ. ბაბენკო, უ. სიხარულიძე, ვ. ტიმჩენკო, ვ. მარეევი, პრაპორშჩიკები ი. კოლომიეცი, ი. მორდვინოვი და სხვები, რომლებიც უკვე მრავალი წელია მსახურობენ რაზმში.

საზღვრის საიმედო დაცვა წარმოუდგენელია ხალხის დაუხმარებლად. მწვანეკუდიან მეომრებს მხარში უდგანან საზღვრისპირა რაიონების ათასობით მშრომელები, პიონერები და მოსწავლეები — ნებაყოფლობითი სახალხო რაზმებისა და მესაზღვრეთა ნორჩი მეგობრების რაზმების წევრები. მთავრობის ჯილდოებით აღინიშნა ნოვლელი, რომელიც საზღვრის დაცვაში შეიტანეს რაზმელებმა ა. ვანლიშმა, ი. ლორთქიფანიძემ, ხ. თედორაძემ, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების წევრებმა მ. ბაქრაძემ, ო. პეველაძემ, ი. მიქელაძემ, ი. ლომინაძემ, ე. რომანოვმა, რ. აკვაძემ და სხვებმა.

რაზმისათვის ხამშობლოს მაღალი ჯილდოს გადაცემისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად აეარის დედაქალაქში ჩამოვიდნენ ამხანაგები ე. შევარდნაძე, ქ. შარტავა, სსრ კავშირის ხახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების პოლიტანამართველოს უფროსი გენერალ-მაიორი ვ. ბაკონინკო, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ჯარების უფროსი ნ. მაკაროვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ბ. გვეტაძე, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, ქალაქ ფოთის, მახარაძის, ლანჩხუთის, ხობისა და ზუგდიდის რაიონების დელეგაციები, სასაზღვრო რაზმის შეფი ორგანიზაციების წარმომადგენლები. დელეგაციებმა მონაწილეობა მიიღეს ვ. ი. ლენინის ძეგლის კვარცხლბეკის გვირგვინებით შემკობის ცერემონიაში. შემდეგ სტუმრები ეწვივნენ ბათუმის სასაზღვრო რაზმს, სადაც გაიმართა ნაწილის პირადი შემადგენლობის მიტინგი.

ბათუმის სასაზღვრო რაზმისათვის წითელი დროშის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება შესავალი სიტყვით გახსნა რაზმის უფროსმა, მ. ბარიბინმა.

კრების მონაწილეებმა დიდი აღმავლობით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიაზე პლენუმზე გაკეთებული მოხსენებანი ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მოგვაცა ჩვენი სოფლის მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობის ყოველმხრივი, ღრმა, მეცნიერულად დასაბუთებული, ქმედითად ლენინური ანალიზი, დასახა ჩვენი შემდგომი მუშაობის კონკრეტული გზები. რომლის მიზანია უზრუნველყოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობა, მნიშვნელოვნად გავზარდოთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქცია, უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ ჩვენი ხალხისადმი ბრძოლა ბრძოლა ბრძოლა

სამშობლოს სამხრეთი მიჯნების სადარაჯოზე

(დასასრული).

საზღვრისპირა რაიონებში ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერების სტაბილური, სწრაფი ტემპი ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გამმტკიცების, სახელმწიფო საზღვრის სიმაღლე დაცვის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პირობაა. ჩვენ ვიცით, რომ ამხანაგი მესაზღვრეები — განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ჩვენი საზღვრისპირეთის, მთელი ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანების წარმატებით შესრულებისადმი, ჩვენთან ერთად ხარობენ მიღწეული წარმატებებით, ამაყობენ თავიანთი წვლილი შემატონ ამ ამოცანების გადაწყვეტას. ეს ჩვენი ხალხია და არმიის ინტერესების, სახალხო მეურნეობისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ინტერესების, განუყოფელობის ერთ-ერთ თვალსაჩინო გამოვლინებად მიგვაჩნია.

დღეს თითოეულ საბჭოთა ადამიანს, ჩვენი რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს ღრმად აქვს შეგნებული, რომ მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულება ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების გარანტიაა, საბჭოთა ხალხის უმნიშვნელოვანესი წვლილია ჩვენს პლანეტაზე მშვიდობის შენარჩუნების საქმეში, რომლის სადარაჯოზე ფხიზლად დგანან სასიქადულო საბჭოთა შეიარაღებული ძალები, და მათ რიგებში — ამერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის მეომრები.

ჩვენი სამშობლოს წმიდათაწმიდა საზღვრებზე ფხიზლად მდგომი შეიარაღებული მეომრებისადმი სიყვარულისა და პატივისცემის შესანიშნავ დემონსტრაციად გადაიქცა სასაზღვრო ჯარების 30-ე წლისთავის დღესასწაულობა ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში. ამერკავკასიის წითელდროშოვანმა სასაზღვრო ოლქმა მთელი თავისი სახელოვანი საბრძოლო ისტორიით შეიარაღებულ მეომრებთან ერთად, ამაყობს საყოველთაო-სახალხო სიყვარულით და მხარეგერი მოიხვეჭა.

ქვეყნის სასაზღვრო ჯარების საერთო მწყობრში ამერკავკასიის ოლქს ღირსეული ადგილი უკავია. მისი ისტორია განუყოფლად არის დაკავშირებული ამერკავკასიის მომმე რესპუბლიკების ისტორიასთან, საბჭოთა ხალხის გმირულ რევოლუციურ და საბრძოლო ტრადიციებთან.

ამერკავკასიის მესაზღვრენი მე-11 წითელი არმიის საბრძოლო და რევოლუციური ტრადიციების ღირსეული ძმაკაცდრენი გახდნენ და გმირობისა და ვაჟკაცობის ბევრი შესანიშნავი მაგალითით გაამდიდრეს სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების ისტორია.

დღეს ჩვენ ჯერეთან პატივს მივაგებთ გმირებს, ამერკავკასიელ მესაზღვრეებს, რომლებმაც სიცოცხლე გასწირეს საშობლოს წმიდათაწმიდა საზღვრების დაცვისათვის ბრძოლაში, — პეტრე ბუკოვს, ანდრია ბაბუჯანს, პეტრე კარაბანს, დავით ოდიშარიას, ივანე ვასიუხნოს, ანზორ ხვედელიძესა და მრავალ, მრავალ სხვას, რომელთა სახელიც სამუდამოდ დარჩება ხალხის მეხსიერებაში.

განაგრძობს რა სახელოვან საბრძოლო ტრადიციებს, ამერკავკასიელი მესაზღვრეთა ახლანდელი თაობა წმიდად ასრულებს თავის კონსტიტუციურ მოვალეობას სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ სამშობლოს სამხრეთი საზღვრების დაცვა ხორციელდება უაღრესად რთულ და დაძაბულ ვითარებაში, რისი მიზეზიც არის იმპერიალიზმის საომარი სამზადისი, ნატოსა და სენტოს აგრესიული ბლოკების აქტიური ღონები ჩაითრიონ ზოგიერთი ქვეყანა საომარ ავანტიურებში.

საერთაშორისო ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი პოზიტიური მოვლენა გახდა სსრ კავშირსა და ჩვენს სამხრეთელ მეზობელ თურქეთს შორის კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარების გადაწყვეტილება. ასეთი ურთიერთობის სათავეებთან იდგნენ ლენინდიერ ილიას ძე ლენინი და ქემალ ათათურქი. „სრულიად ევროპის თათბირის მონაწილე ქვეყნების მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარების რეალური წვლილი“ უწოდა ქალაქ მინსკში წარმოთქმულ სიტყვაში ლ. ი. ბრეჟნევმა თურქეთის პრემიერ-მინისტრის ბატონ ბ. ეჯევითის კმასწინანდელ ვიზიტს ჩვენს ქვეყანაში. მოლაპარაკების დროს ხელმოწერილი დოკუმენტები ახალ იმპულსს მიანიჭებენ ჩვენი ორი ქვეყნისათვის ხელსაყრელი ურთიერთობის განვითარებას. დიდია ამერკავკასიის სასაზღვრო ოლქის პირადი შემადგენლობის როლი თურქეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებაში.

სსრ კავშირის სამხრეთი საზღვრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბნის დაცვა აკისრია ამერკავკასიის სასაზღვრო ოლქის უძველეს ნაწილს — ბათუმის სასაზღვრო ოლქს. რაზმის საბრძოლო გზა — ეს არის სამშობლოს სახელმწიფო საზღვრის შეუვალობისა და უშიშროებისათვის გმირული და თავდადებული ბრძოლის ამაღლებული ისტორია, მესაზღვრეთა მიერ თავიანთი მხედრული მოვალეობის სანიმუშო შესრულების ისტორია.

ოქროს ასოებით ჩაწერეს რაზმის ისტორიაში თავიანთი სახელები მესაზღვრეებმა პ. პისკუნოვმა, ს. შალატოვმა, მ. მირზიაშვილმა, ი. კოროლევმა, კ. ივანინმა. უსაზღვრო გმირობისა და მშობელი ხალხისადმი ერთგულების ძეგლებად აღმართულა საზღვარზე მთიან აჭარაში მესაზღვრეების ი. ვასილიონოსა და ტ. ლეკშინის სახელობის სასაზღვრო საგუშაგოები.

სამშობლოს მაღალი ჯილდო — შრომის წითელი დროშის ორდენი რაზმმა, დაიმსახურა მთელი თავისი საბრძოლო ისტორიით, მთელი თავისი თავდადებული სამსახურით ჩვენი სამხრეთი საზღვრების დაცვისა და შეუვალობისათვის. სამშობლოს ჯილდო — ეს არის რაზმის — მეომართა დიდი, ერთიანი ინტერნაციონალური ოჯახის მთელი პირადი შემადგენლობის დამსახურება.

თქვენს რაზმში სტუმრობამ თითოეულ ჩვენგანზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ჩვენ კმაყოფილებით შევიტყვეთ, რომ პირადი შემადგენლობის თითქმის ნახევარს საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებულნი შეადგენენ.

მას შემდეგ, რაც ამერკავკასიის სასაზღვრო ოლქის პირველი ნაწილები და ქვეგანყოფები ჩვენი სამხრეთი საზღვრების სადარაჯოზე დადგნენ, საზღვრის მეომრებს მტაცი მეგობრობა აკავშირებთ საქართველოს შრომელებთან. სასაზღვრო ჯარებს სამართლიანად უწოდებენ წინა ხაზის ჯარებს. მაგრამ თავიანთ ძნელ ვახტზე ამერკავკასიის მესაზღვრენი არასოდეს არ არიან მარტონი. ჩვენი კოლმეურნეებიც, მუშებიც, ახალგაზრდების სასახელოდ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვის მეორე სიმეჯო ზღუდე შექმნეს.

საბრძოლო დევიზი — „სსრ კავშირის საზღვარს მთელი საბჭოთა ხალხი იცავს“ — კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკლმინდრების მშრომელთა, კომკავშირელთა, პიონერთა და მოსწავლეთა სახელოვან საქმეებში, რომლებიც ყოველნაირად ეხმარებიან საზღვრის მეომრებს ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების მუშაობაში. მათი შემწეობით ბევრი საზღვრის დამრღვევი დაიკავეს. ამერკავკასიის მესაზღვრეები კარგად იცნობენ თავიანთ სიმეჯო თანაშეგზეებს — სოციალისტური შრომის გმირს, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მეჯინისწყლის კოლმეურნეობის ბრიგადირს მ. მიქელაძეს, ბათუმის ტურაზის მუშაკს ა. დანილოვს, სოფელ აღლის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს ი. ფიასამიძეს, ხელვაჩაურის რაიონული კავშირგაბმულობის კვანძის მუშას ხ. ფოლიძეს, სოფელ ერგის კოლმეურნეს ი. ლეონიძეს, ხელვაჩაურის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორს გ. კლდიაშვილს.

სრულიად საკავშირო ალკა XVIII ყრილობის მუშაობის დღეებში აჭარელ მოსწავლეს ელენე მარგველიანს გადაეცა მთავრობის ჯილდო — მედალი „სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვაში წარჩინებისათვის“. ე. მარგველიანთან ერთად საზღვრის სადარაჯოზე ფხიზლად დგანან მესაზღვრეთა ნორჩი მეგობრების რაზმი. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ აჭარის კომკავშირულმა ორგანიზაციამ სამჯერ მოიპოვა სასაზღვრო ჯარების მთავარი პოლიტიკური სამმართველოს გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც შემდეგ მას სამუდამოდ დაუტოვეს.

სულ უფრო ფართო და მრავალმხრივი ხდება ის კონკრეტული დახმარება, რომელსაც საზღვრის დაცვის გაძლიერების ინტერესებისათვის უწევენ ჩვენს რესპუბლიკაში სასაზღვრო ჯარებს. სერიოზული ღონისძიებანი ხორციელდება საზღვრის ტექნიკური განმტკიცებისათვის, მესაზღვრეთა საყოფაცხოვრებო პირობების, სასაზღვრო გარნიზონების კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

ჩვენ მშრომელთა და მესაზღვრე მეომართა მეგობრობა, თანამშრომლობა, ყოველდღიური ცოცხალი ურთიერთობა პატრიოტთა ინტერნაციონალისტთა აღზრდის დიდ სკოლად მიგვაჩნია.

მინდა განსაკუთრებული მადლობა მოვახსენო ჩვენს მესაზღვრე მეგობრებს იმ დიდი მუშაობისათვის, რომელსაც ისინი ჩვენი ახალგაზრდობის სახედროპატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდისათვის ეწევიან.

საქართველოს მშრომელები დიდად აფასებენ იმას, რომ გაჭირვების ჟამს მათს გვერდით მყისვე გაჩნდება ხოლმე მესაზღვრე. ჩვენ უკვე მივეჩვიეთ იმას, რომ სტიქიური უბედურების — წყალდიდობის, ხანძრის თუ ზვავის დროს მოსახლეობის დასახმარებლად პირველნი მოიცვლ ხოლმე მეომრები. სწორედ თქვენი სასაზღვრო რაზმის მაშველი ჯგუფები იყვნენ, შარშან ფასდაუდებელი დახმარება რომ გაუწიეს მთის სოფლების მცხოვრებთ დიდთოვლობისა და ქარბუქის პერიოდში. თქვენი მეომრები იყვნენ, რომ წყალდიდობის დროს სამშვიდობოს გახიზნეს ასობით ბავშვი აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ერთ-ერთი რაიონიდან. არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ამერკავკასიელი მესაზღვრენი თავიანთი ძნელი სამსახურის მიუხედავად, ყოველთვის პოოლობენ დროს, რათა მოსახლეობას დაეხმარონ სხვადასხვა სამეურნეო საქმეში. საზღვისპირეთის, მეთი ჩვენი რესპუბლიკის მეჯოგეებნი გოლწრფელ მადლობას მოგახსენებენ ოქვენ ამ უანგარო, ძმური ჯარისაკაცული დახმარებისათვის.

საზღვრის დაცვა ღვიძლი პარტიული, სახელმწიფო საქმეა. სწორედ ამიტომ არის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ყურადღებას არ აკლებს სახელმწიფო საზღვრის სამიდო დაცვის საკითხებს. ამ მიმართულებით რესპუბლიკაში უკვე გარკვეული დადებითი გამოცდილება შეძენილი. საზღვრის დაცვაში მოსახლეობის ჩასაბმელად კარგად ორგანიზებული მუშაობის მაგალითია ხელვაჩაურის რაიონული პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა, რომელიც აქტიურად, ქმედითად თანამშრომლობს ბათუმის სასაზღვრო რაზმთან.

ჩვენთვის საიდუმლო როდია, რომ უკანასკნელ ხანს იმპერიალიზმმა და მიმა სპეციალმასხურებმა გააქტიურეს საადაზვერო და ძირგამმთხრელი საქმიანობა საბჭოთა წინააღმდეგ, რისთვისაც [illegible] ფალსიფიცირებულ [illegible] ლურ, ისე არალეგალურ [illegible] ლებებს.

ასეთ პირობებში ყველა ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა გამოვუმეშაოთ მშრომელებს, მაღალი პოლიტიკური სიფხიზლე, ჰაეროვნერთან საბჭოთა პატრიოტიზმი, მზადყოფნა — აქტიურად უკუგადგეს ჩვენი სახოგადოებისათვის უცხო იდეოლოგია და მორალი, სრულყოთ მთელი იდეოლოგიური მუშაობა. და ამ საქმეში შეუწყნარებელია ყოველგვარი გულარბენობა. გულგრილობა და თვითდამშვიდება. იმპერიალიზმმა სასწორის გადასაწონად თავის პინაზე შეიგდო პროპაგანდისტული მანქანის ყველა საშუალება და შესაძლებლობა.

ეგრეთწოდებული „დისიდენტების“ სასამართლო პროცესებმა, მათ შორის თბილისში, დამაჯერებლად ცხადყვეს, რომ ანტიპაბჭოთა დანაშაული მათ ბოროტუფიზულმა პროპაგანდამ ჩაადენინა. რომ ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს სოციალიური ნიადაგი „დისიდენტობის“ წარმოშობისათვის, არის მხოლოდ ხარეზები და ნაკლოვანებანი შეგვრების, მოქალაქეობრივობის, ინტერნაციონალიზმის, მოღალი პოლიტიკური სიფხიზლისა და პასუხისმგებლობის სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდისათვის მუშაობაში.

ჩვენს ეპოქაში, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ეპოქაში, რომელმაც სსრ კავშირის

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა მ. ბარიბინმა.

დაჯილდოებულთა მიესალმნენ სსრ კავშირის ხალხმეწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების პოლიტსამმართველოს უფროსი გენერალ-მაიორი ვ. ბაპონენკო, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ა. ლორთქიფანიძე, საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. საჯაია, ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის ინჟინერი ნ. მარტინოვსკაია, ნუბაყოფლობითი სახალხო რაზმის მეთაური ბ. კლდიაშვილი, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებული ეფრეიტორი ა. კულეშოვი.

ხაზეიმო კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მისალმება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

ხაზეიმო კრება გადაიქცა არმიისა და ხალხის ერთიანობის შესანიშნავ დემონსტრაციად, რომელმაც ცხადყო მათი ურყევი ერთგულება პარტიის საქმისადმი.

საუბარი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

11 ივლისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. პ. კირილენკომ მიიღო მოსკოვში დამთავრებული სოციალისტური ქვეყნების კულტურის მინისტრების IX თათბირის მონაწილე დელეგაციათა მეთაურები.

გაიმართა საუბარი, რომელშიც მონაწილეობდნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ლუდმილა ჟივკოვა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრი ჰანს იოაჰიმ ჰოფმანი, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის კულტურისა და ინფორმაციის მინისტრი ნგუენ ვან ჰიეუ, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, კუბის რესპუბლიკის კულტურის მინისტრი არმანდო ხარტ დავალოსი, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ინფორმაციის, პროპაგანდის, კულტურისა და ტურიზმის მინისტრის კანცელარიის უფროსი სონ ჭხამეონგსა, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის მინისტრი სანდაგინ სოსორბარამი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურისა და ხელოვნების მინისტრის პერეკი მოდგალე ზიგმუნტ ნაიდოვსკი, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის კულტურისა და სოციალისტური აღზრდის საბჭოს თავმჯდომარე მიუ დობრესკუ, სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის კულტურის მინისტრი მიროსლავ ვალეკი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის მინისტრი იმრე პოჟგაი.

ა. პ. კირილენკომ ილაპარაკა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის მუშაობაზე, იმ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ ამოცანებზე, რომლებსაც ამჟამად წყვეტენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო. მან აღნიშნა კულტურისა და ხელოვნების დიდი როლი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, ხაზი გაუსვა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მომავე სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობა კულტურის მშენებლობის საკითხთა გადაწყვეტაში.

აზრთა გაზიარების დროს აღინიშნა, რომ სოციალისტურ ქვეყნებს შორის ორმხრივი და მრავალმხრივი კულტურული ურთიერთობის წარმატებულ განვითარებას დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს იმ პროცესში, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს სოციალიზმის პოზიციები მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისა და მიზნების ერთიანობის საფუძველზე.

ითქვა, რომ სოციალისტური კულტურა აქტიურად უწყობს ხელს საერთაშორისო კულტურული გაცვლის განვითარებას, რომლის მიზანია დაძაბულობის შენელების განმტკიცება და მატერიალიზაცია, ნდობისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნა, ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრება.

საუბარში, რომელშიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი პ. ნ. დემიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ვ. თ. შაურო. (საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ჩოხატაურის რაიკომთან არსებული სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ მებრძოლი საკოორდინაციო კომისიის მუშაობის გამოცდილებიდან.

კომისია მოქმედებს

დაუნდობელი ბრძოლით

წესრიგი ყველგან და ყველაფერში!

ომსახურების სფეროში ყოველგვარი ჯურის დამახინჯებისა და საერთოდ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლას დიდი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს.

ამ არსებითის, სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეში დიდი როლი შეასრულა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებებმა.

ვაჭრობისა და საერთოდ მომსახურების სფეროს მუშაობის უკეთ წარმართვის მიზნით ბოლო ხანებში მიღებულ ღონისძიებათა შორის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს **ხელმძღვანელობის მაკორდინებელი რგოლის შექმნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიურ მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო კომისია სისტემატურად ამოწმებს და იხილავს საქალაქო და რაიონული კომისიების მუშაობას, სახავს ღონისძიებებს. **კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად მოისმინეს ინფორმაცია საქართველოს კომპარტიის ჩოხატაურის რაიკომთან არსებული კომისიის მუშაობაზე.**

როგორ მუშაობს ეს კომისია?

იმ დიდ წარმატებებში, რომლებიც რესპუბლიკამ უკანასკნელ წლებში მოიპოვა ცხოვრების ყველა უბანზე, თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ჩოხატაურის რაიონმა, ოთხჯერ ზედიზედ რომ დაჯილდოვდა საკავშირო და რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშებით. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს რაიონის სამეურნეო თუ კულტურული ცხოვრების ყველა უბანზე საქმე რიგზე იყოს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმმა რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, ავრეთვე სამეურნეო და ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე განსაკუთრებული სიმწვავით დაასვა ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. პლენუმზე ითქვა: სწორედ ახლა, სწორედ დღეს ყველამ უნდა გავიაზროთ უფრო ეფექტიანი, ქმედითი ბრძოლა, ჰემმარიტად გლობალური ბრძოლა, თუ გნებავთ გლობალური შეტევა ყველა ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ, ყველა ჯურის მეკრთამეების, საქმოსნებისა და კომბინატორების, ხულიგნებისა და პროვოკატორების წინააღმდეგ. სწორედ ახლა უაღრესად საჭიროა გავშალოთ და ლოგიკურად დავასაბუთოთ ეს ბრძოლა.

ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციით, რომელიც გამომდინარეობდა ამ პლენუმის დადგენილებიდან, ჩოხატაურის რაიონშიც მიმდინარე წლის დამდეგს შეიქმნა სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო კომისია 19 კაცის შემადგენლობით.

კომისიამ მუშაობა დაიწყო იმ დარღვევათა საფუძვლიანი შესწავლით, რომელიც რაიონის ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ცალკეულ უბნებზე ხდებოდა. საინგარიშო-საარჩევნო კრებებზე გაანალიზეს კომუნისტების მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები, საქმიანი წინადადებები, მშრომელთა წერილები და საჩივრები. განისაზღვრა გზები და საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფდა რაიონის სახალხო მეურნეობის ყველა ოლქში დარღვევებისა და ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომ გაძლიერებას.

შეიარებით მოკლე დროში კომისიამ (თავმჯდომარე — პარტიის ჩოხატაურის რაიკომის პირველი მდივანი თ. იმედაძე) მუშაობის გარკვეული გამოცდილება შეიძინა. ჩოხატაურის ოლქში ბოლო ორ-სამ თვეში ეს ორგანიზაცია ოთხჯერ [illegible] ... ორჯერ. დღემდე გაიმართა 10 სხდომა, განიხილეს 45 საკითხი. ამა თუ იმ საკითხის განხილვას წინ უსწრებდა ადგილებზე მდგომარეობის ღრმა შესწავლა.

რაიონის მშრომელთა სავაჭრო მომსახურებაში ბოლო წლებში იგრძნობა პოზიტიური ძვრები, სისტემატურად სრულდება საქონელბრუნვის გეგმები, მტკიცდება სავაჭრო ქსელის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მაგრამ ეს მხოლოდ საქმის ერთი მხარეა. მეორე მხარეს კი კომისიის წევრები რესთაველ მეტალურგთა პატრიოტული თაოსნობის პოზიციებიდან მიუდგნენ. შემოწმების შედეგად დამაკმაყოფილებელი საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლების მიღმა გამოვლინდა საბჭოთა ვაჭრობის წესების დამახინჯებისა და დარღვევის ფაქტები. სოფელ კოხნარის მაღაზიის გამგე-გამყიდველს გ. კვშელავას 6100 მანეთი დანაკლისი აღმოაჩნდა. ბასილეთისა და ჩხაკაურას სასოფლო მაღაზიების გამგე-გამყიდველებმა გ. შარაშენიძემ და ი. ალომელაძემ დაარღვიეს ინკასაციის წესები, ავტოსამეურნეო მაღაზიის გამგეს ზ. ანდღულაძეს რამდენიმე დასახელების საქონელზე მიკრული არ ჰქონდა ფასმაჩვენებელი. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა აღმოჩნდა ბეოლიეთის, ხევის, გორაბერეეოულის, ქვენობის სასოფლო მაღაზიებსა და ხიდისთავის უნივერმაღში. იყო გადამალული საქონლით ვაჭრობის ფაქტები, ზომა-წონაში, ანგარიშში მოტყუების, საწონ-საზომი, საკონტროლო საშუალებების არასწორი ექსპლოატაციის შემთხვევები.

კომისიამ არადამაკმაყოფილებლად ჩათვალა რაიონის სავაჭრო ორგანიზაციებში დარღვევებისა და ნაკლოვანებათა აღმოფხვრის სათვის, ვაჭრობის კულტურის ამაღლებისათვის გაწეული მუშაობა, მკაცრად გაფრთხილა მათი ხელმძღვანელები და მათვე დაავალა კონკრეტულ დამნაშავეთა დასჯა. მორიგ სხდომაზე კი მოისმინეს მიღებულ ღონისძიებათა შესრულების შედეგები. კომისიის მუშაობისათვის დამახასიათებელია **პრობლემებისადმი მრავალმხრივი, კომპლექსური მიდგომა.** ერთ-ერთი სხდომის მთავარი საკითხი იყო რაიონში მოსწავლე ახალგაზრდობის კვების ორგანიზაცია. ამ დარგში სერიოზული დარღვევები გამოვლინდა. საკითხი განსახილველად შეიტანეს პარტიის რაიკომის ბიუროს სხდომაზე.

სასკოლო ბუფეტებისა და საადილოების დიდი ნაწილი მოთავსებულია შეუფერებელ სათავსებში, სადაც შეუძლებელია სათანადო სანიტარული წესრიგის დაცვა. ბევრი სკოლის ხელმძღვანელს კი სრულიადაც არ უზრუნია მათ გასწორებაზე. ბუფეტები ნაკლებად მარაგდება რძის ბროდუქტებით, საკონდიტრო ნაწარმით, სასადილოები კი ბოსტნეულით, ხილით. საკმარისი რაოდენობით არა აქვთ სამაცივრო დანადგარები, საჭირო ავეჯი, ინვენტარი. არ არის დანერგილი ამობენმენტებით ანგარიშსწორება, რაც ზოგიერთ შემთხვევაში ქმნის მოზარდის ანგარიშში მოტყუების პირობებს. საკითხის მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს პარტიის რაიკომთან შექმნილი საზოგადოებრივი აზრის საბჭოს წევრებმა. მათ შეისწავლეს მშობლიური აზრი. მშობლები ესწრებოდნენ როგორც კომისიის, ასევე ბიუროს სხდომას, მათი წინადადებები გაითვალისწინეს.

გაატეხეთ ბოლო საკონტროლო-სარევიზიო ორგანოების, საფინანსო განყოფილების, ბანკის, სანეპიდსადგურის მუშაობა, მეტ პრინციპულობას ითხოვს რაიკოოპკავშირის გამგეობასთან შექმნილი სარევიზიო-საკონტროლო ჯგუფი. **ხერხოზული, უყურადღება ეთმობა ამ ხფერობი დასაქმებულ მუშაკთა მაღალი მოქალაქეობრივობის სულისკვეთებით აღზრდას.** კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, საწარმო-დაწესებულებებმა ვალდებულება იკისრეს შეფობა გაუწიონ სავაჭრო მომსახურების ობიექტებს. ჯერ კიდევ ყველგან როდია დამყარებული მტკიცე საბელმწიფო წესრიგი ფონდებით გამოყოფილი საქონლის განაწილებაში, ნისიაფ ვაჭრობაში, არ არის აღმოფხვრილი დებიტორული და კრედიტორული დავალიანების შემთხვევები, სათანადოდ არ აფასებენ მატერიალური სტიმულირების როლს, ხშირია პრემირების წესის დარღვევები, ნაკლოვანებებით ხასიათდება სატარიფოსაკვალიფიკაციო კომისიების მუშაობა.

ასეთია იმ პრობლემათა სრული ნუსხა, რომელთა მოგვარებას მიზნად ისახავს რაიონული კომისია.

კომისიის მუშაობის მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი სფეროა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება. აქაც მუშაობა სასურველი გზით წარიმართება, სისტემატურად სრულდება სახელმწიფო გეგმები, ინერგება მომსახურების ახალი ფორმები, ფთავარი ყურადღება ეთმობა საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს მუშაკთა ყოველდღიურ საქმიანობას, კაცრებთან მუშობას. მაგრამ ზოგჯერ შეიმჩნევა გაუმართავი მუშაობა, მომსახურების დაბალი კულტურა, საქვითრო სისტემის უგულებელყოფა და სხვა. კომისიამ საფუძვლიანად შეისწავლა ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხი, როცა **დანაშაულს თვითონ მომხმარებელი სჩადის, ხელს უწყობს მომსახურების წესების დარღვევას და არად აგდებს ხაზოგადოების ინტერესებს.** შექმნილა ოპერატიული-ჯგუფი, რომელიც ამოწმებს მომხმარებლის პოზიციას ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში და საამკარაოზე გამოაქვს მომხდარი ფაქტები, ცალკეული პირების გაუმართლებელი მოქმედება, მავნე დარდმანლობა.

სპეციალური მსჯელობის საგანი გახდა რაიონის მოსახლეობის ავტოტრანსპორტით მომსახურების საკითხი. მომსახურების ამ სფეროშიც ჯერ კიდევ ბევრია გადაუჭრელი პრობლემა. კომისიამ აღნიშნა საავტობუსო მარშრუტების ჩაშლისა და გრაფიკების დარღვევის, ტაქსების მრიცხველთა მოუწესრიგებლობის ფაქტები, მგზავრთა მომსახურების დაბალი კულტურა, ფულის გამოძალვისა და უბილეთო მგზავრთა გადაყვანის შემთხვევები. ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექციამ მძღოლები ვ. კალანდაძე, გ. ჯორბენაძე, რ. კერძევაძე, ა. თედორაძე, ი. კიკვიძე და თ. გუდავაძე დასჯა — ჩამოაქვეითა შემკეთებლის თანამდებობაზე, 61 მძღოლს დაერიცხათ გადახარჯული საწვავის თანხა.

ფართოდ იყენებენ მუშაობაში საჯაროობის პრინციპს. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდია რაიონული გაზეთისა და ადგილობრივ რადიოგადაცემათა რედაქციების როლი. მრავალი შესაძლებლობა აქვთ ავრეთვე კონტროლის ორგანოებსა და კომკავშირულ ორგანიზაციებს.

ორაერთი პრობლემატური საკითხი გამხდარა კომისიის მსჯელობის საგანი, კერძოდ მუშათა სადღეღამეებში მომარაგებისა და კვების ორგანიზაციის მდგომარეობა, რაიონულ საავადმყოფოში ავადმყოფთა მიღება და სამედიცინო მომსახურება, სპასპორტო რეჟიმის დაცვისა და შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების სპასპორტო მაგიდაში მოქალაქეთა მიღების ორგანიზაცია, საქართველოს კომპარტიის ჩოხატაურის რაიკომის პლენუმმა სპეციალურად მოისმინა ანგარიში — დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

როგორც ვხედავთ **რაიონში** შექმნილმა დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო კომისიამ დანიშნულება გაამართლა, მისი მუშაობა მოსახლეობის მოწონებისა და მხარდაჭერას პოულობს. გეჯერა, — რომ რაიონის პარტიული ორგანიზაციები, მშრომელი მოსახლეობა ყოველგვარი ნაკლოვანებებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლით კიდევ უფრო განმტკიცებენ სახელმწიფო დისციპლინას.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

პლენუმის გადაწყვეტილებათა სულისკვეთებით

ეს დღეები განსაკუთრებული შინაარსით არის აღსავს

განვარსრციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი!

კომპლექსურად ავიღოთ მოსავალი!

საქართველოს ხოფლის მშრომელებმა, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, მხურვალედ მოიწონეს და თავიანთ სამოქმედო პროგრამად მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილება და ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ“.

ჩვენი პარტიის ახლანდელი აგრარული პოლიტიკის თავიდათავია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმი. ხუთ წელიწადზე ამ პლენუმის შემდეგ დაიწყო ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის აღმავლობა. თანამედროვე ეტაპზე პარტია საბჭოთა ხალხს ამოცანად უსახავს სოფლის მეურნეობის გადაყვანას ინდუსტრიულ საფუძველზე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის კურსს.

ლ. ი. ბრეჟნევი თავის მოხსენებაში სადღესაწო ამოცანად სოფლის მშრომელებს ხუთწლედის მესამე წლის მოსავლის შემჯიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღებას უსახავს. ამ საკმეში მოწონებულია გამოცდილების გამოყენება დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენს მემინდვრეებს.

როსტოვის ოლქის სალსკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „გიგანტის“ მშრომელები ლ. ი. ბრეჟნევისადმი გაგზავნილ წერილში წერენ, რომ მოსავლის აღების პერიოდში ფართოდ გამოიყენებენ იპატოვოელთა მეთოდს.

ამ გვერდში გესაუბრებით იპატოვოელთა მიმდევრების — ხილნალის, წითელწყაროსა და ლაგოდეხის რაიონების მემინდვრეთა შრომის პირველ დღეებზე.

ასე იშვა ეს მეთოდი

სტავროპოლის მხარის იპატოვოს მიწათმოქმედთა გამოცდილებაზე მთელ ჩვენს ქვეყანაში ლაპარაკობენ. მემინდვრეები მათი მეთოდით დიდ წარმატებებს აღწევენ. როგორც ვიცით, იპატოვოს რაიონი თავისი მდებარეობით ერთ-ერთი რთული რაიონია სტავროპოლის მხარეში. პარტიის იპატოვოს რაიკომის ინიციატივით უამინდობის პირობებში შარშან დიდ წარმატებას მიაღწიეს აქაურმა მემინდვრეებმა და არათუ გეგმა, პურეულის დამზადების ვალდებულებაც გადამეტებით შეასრულეს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „სტავროპოლის მხარის იპატოვოს რაიონის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილება 1977 წლის მოსავლის აღების დროს“. იპატოვოელ მემინდვრეებს წარმატება მიულოცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა. იპატოვოელთა მეთოდით მუშაობენ როსტოვის ოლქის სალსკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „გიგანტის“ მემინდვრეები. ამის შესახებ ლაპარაკია მათს წერილში ლ. ი. ბრეჟნევისადმი, რომელმაც მხურვალედ მიულოცა 50 წლისთავი.

რა მოხდა იპატოვოში? რით გაითქვეს იქაურმა მემინდვრეებმა სახელი?

შარშან აპრილის წინა პერიოდში იპატოვოს რაიონში რთული ბუნებრივი პირობები შეიქმნა. 200 ათასი ჰექტარი სხვადასხვა სახეობის მარცვლეულის აღებას საფრთხე ემუქრებოდა. მარტო პურეულს 135 ათასი ჰექტარი ეკიჩა. ამ უზარმაზარ ფართობზე მოსავალი რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აეღოთ, ამისათვის „მშრალი“ დროის თითოეული საათის მაქსიმალურად გამოყენება, სასოფლო-სამეურნეო მანქანების კომპლექსურად მოქმედება, მექანიზატორთა ორ-სამ ცვლად მუშაობა დასჭირდათ.

პარტიის იპატოვოს რაიკომის პირველი მდივნის ვ. კალიაგინის წინადადებით სრულიად რუსეთის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის საკოსტრუქტორო და საძიებელო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა შეიმუშავეს მოსავლის აღების ახალი ტექნოლოგია.

ახალი ტექნოლოგიით უპირველესად ტექნიკის კონცენტრაცია მოახდენეს. შემდეგ პურეულის აღების პროცესების სწორი ორგანიზაციითა და კონკრეტული ხელმძღვანელობით, მუშაობის ხარისხის ოპერატიული კონტროლით რთულ პირობებში ყველა ტექნიკური საშუალების ფართო მანევრირებით ალობა მალე დაამთავრეს.

პარტიის იპატოვოს რაიკომმა, რაისაბჭოს აღმასკომმა, სოფლის მეურნეობის სამმართველომ და დამამზადებელმა ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შექმნეს მოსავლის აღების რაიონული შტაბი, რომელსაც რაიკომის პირველი მდივანი ჩაუდგა სათავეში. შტაბთან შეიქმნა ოპერატიული ჯგუფები. ესენია: მოსავლის აღების ტექნოლოგიისა და შრომის ორგანიზაციის, მარცვლეულის ხარისხიანად აღებისა და დაბინავების; ტექნიკის მოქმედებისა და მისი ეფექტიანად გამოყენების; ტრანსპორტის ხელმძღვანელობის; სადისპეტჩერო სამსახურის; მოძრაობის უსაფრთხოების; საველე კალოებისა და საყოფაცხოვრებო ობიექტების რემონტის; მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის; სოციალისტური შეჯიბრების; კულტურული-საყოფაცხოვრებო მომსახურების; მეურნეობათა ელექტროტექნიკური უზრუნველყოფის; შრომის დაცვის; ტექნიკური უსაფრთხოების; სწორ-მოო სანიტარიისა და ხანძრისწინააღმდეგო ღონისძიებების; მხვნელ-მთესელთა საეკერო და საყოფაცხოვრებო მომსახურების.

თითოეული ჯგუფმა თავის მხრივ შეიმუშავა ღონისძიებათა კომპლექსი, სადაც ნაჩვენებია მოქმედების ამოცანები, მუშაობის ფორმები, მეთოდები და შესასრულებელ სამუშაოთა ვადები.

თავთავიანების მოსავლის აღების კომპლექსურ გეგმაში აღნიშნულია ძირითადი საკითხები: რა წესით უნდა აიღონ მოსავალი, როგორი იქნება სამკალი აგრეგატებისა და კომბაინების დატვირთვა, რამდენ დღეში უნდა მოიმკას და გაილეწოს მოსავალი, რამდენ დღეში რამდენი ტონა მარცვალი უნდა მიეყიდოს სახელმწიფოს, მოსავლის აღების შემდეგ როგორ და რამდენ დღეში უნდა გაიწმინდოს ნაკვეთები ნამჯისაგან, დაიწნოს და დაიზვინოს, რამდენი ჰექტარი მოიხვნება და დაითესება ნაწვერალი, რამდენი აგრეგატი იქნება დასაქმებული ხვნა-თესვაზე.

უსწრაფესად მომზადდა 1.100 მექანიზატორი, დაწესდა ორცვლიანი მუშაობა, საჭირო შემთხვევაში კი — სამცვლიანიც. რაიონულ შტაბში დაადგინეს შტაბის ერთ-ერთი წევრის სადღეღამისო მორიგეობა. შტაბს სატელეფონო კავშირი ჰქონდა მინდვრად გასულ ყველა რაზმთან.

იპატოვოელებმა 133 ათასი ჰექტარი პურეული ოთხ დღეში გათიბეს და ცხრა დღეში გალეწეს. ათ დღეში 135 ათასი ტონა პური მიჰყიდეს სახელმწიფოს.

ამ დიდი წარმატებებისათვის იპატოვოს რაიონის მიწათმოქმედთა დიდი ჯგუფი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით, პარტიის იპატოვოს რაიკომის პირველ მდივანს ვ. კალიაგინს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილში პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი 1978 წელს გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ზრდოლის გაძლიერების შესახებ ვკითხულობთ: „მოსავლის აღებისას მაღალნაყოფიერი შრომის ნიმუში გვიჩვენეს სტავროპოლის მხარის იპატოვოს რაიონის მხვნელ-მთესელებმა. ახალი ტექნოლოგიის დანერგვის შედეგად მათ მიაღწიეს მანქანების მაღალ ეფექტურ გამოყენებას, 4 დღეში დამთავრეს პურეულის მკა, 9 დღეში დვარეულების ლეწვა, მნიშვნელოვნად აამაღლეს მუნიციპალური სამუშაოების ხარისხი, გაადიდეს მარცვლეულის წარმოება“.

ეს მოკლედ ის, რაც მოხდა იპატოვოში. იპატოვოელთა გამოცდილების გაზიარება, მათი მეთოდით მუშაობა გადაწყვიტეს სილნალის რაიონის მემინდვრეებმა და მექანიზატორებმა. მათი ვალდებულებები „კომუნისტის“ ფურცლებზე დაიბეჭდა. სილნალელ ინიციატორებს მხარი დაუჭირეს წითელწყაროს, ლაგოდეხისა და სხვა რაიონების მხვნელ-მთესველებმა.

ამ დღეებში გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის მუშაკები შეხვდნენ პარტიის სილნალის, ხილნალის, წითელწყაროსა და ლაგოდეხის რაიკომების პირველ მდივნებს ნ. ბუჩუკურს, თ. გოცსაძესა და ლ. კიბაბიძეს. ქვემოთ ვბეჭდავთ მათ საუბარს იმის შესახებ, თუ როგორ გადმოიღეს ამ რაიონების მემინდვრეებმა და მექანიზატორებმა იპატოვოელთა მეთოდი, როგორ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება „გიგანტის“ კოლექტივის მაგალითით, როგორ დაიწყეს მოსავლის აღება თვით სილნალელმა ინიციატორებმა და მათმა მიმდევრებმა.

სილნალელთა ვარიანტი

ეროგითი მეთოდის გადაღება ყველას შეუძლია, მაგრამ როცა საქვეყნოდ სახელგათქმული რაიონის თუ საბჭოთა მეურნეობა „გიგანტის“ გამოცდილების დანერგვაზე მიდგება საქმე, აქ მთავარია ის, თუ როგორ პირობებში უხდება გამარჯვებულ რაიონს მუშაობა, როგორია მისი ტექნიკური შეიარაღება, რა რესურსები აქვს და, რაც მთავარა, ჰყოფნით თუ არა ჯერ და როგორია მათი მომზადების დონე. ცნობილია და ამასთან დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ გამარჯვებული კოლექტივის ყოველი წევრის გაწყობა შესანიშნავია.

როცა სილნალელებმა იპატოვოელთა გამოცდილების გადადება დაიპირეს, ყოველივე ეს კარგად იცოდნენ, მაგრამ მათი გადაწყვეტილება სწორი იყო. რადგან ვინც მოინდომებს, მიუღწეველი ამქვეყნად არაფერია. მათ ისიც იცოდნენ, რომ თუ ერთმა კოლექტივმა, ერთმა რაიონმა შეძლო, იგივეს გაკეთება მეორე კოლექტივსაც, მეორე რაიონსაც შეუძლია. რა თქმა უნდა, იპატოვოსა და სილნალის რაიონების ბუნებრივი პირობები ერთნაირი არ არის, მაგრამ მეგობრების მეთოდის გადმოღებას მაშინა აქვს ფასი, როცა მათს შრომითს წესებს პირდაპირ კი არ გადმოიღებთ, არამედ საკუთარ ბუნებრივ პირობებს შეეუხამებთ და გავითვალისწინებთ იმ შესაძლებლობებს, რომლებიც გაგაჩნია.

— იპატოვოს რაიონში პურეულის უანები თვალუწვდენ, სწორ ფართობებზეა, ჩვენ კი მთაგორიან მინდვრებში გვიფესია ქერი და ხორბალი. ამასთან ალაზნის ველზე ოკი დღით ადრე შემოდის პურეული, ვიდრე ივრისპირეთში, — ამბობს პარტიის სილნალის რაკომის პირველი მდივანი პურეულის მკის რაონული შტაბის ხელმძღვანელი **ნ. ბუჩუკური,** ჩვენ ყოველი წვრილმანი გავითვალისწინეთ და იპატოვოელთა მაგალითისაგან განსხვავებით მოსავლის აღება სამ პერიოდად დავყავით.

პირველ პერიოდში ალაზნის ველზე 1.711 ჰექტარი ქერი იყო ასაღები. მეორე პერიოდში უკანმბარში 4. 783 ჰექტარი ქერი და პური უანებია სამკალი. მესამე პერიოდში შირაქში 8.174 ჰექტარი პურეულია ასაღები.

ოთხი პერიოდებად დავიყავით იმიტომ, რომ ალაზანზე, უკანმბარსა და შირაქში უანები სამკელად სხვადასხვა დროს შემოდის. ეს საშუალებას გვაძლევს რაიონის მთელი ტექნიკა — სამკელი მანქანები, კომბაინები, სატვირთო მანქანები — სრულყოფილად გამოვიყენოთ და დავაჩქაროთ მოსავლის აღება.

სწორედ ამ პერიოდების გათვალისწინებით შეავადგინეთ მოსავლის აღების გეგმა-გრაფიკი. შტაბთან იპატოვოელთა მაგალითით შეექმენით ოპერატიული ჯგუფები. ესენია: მოსავლის აღების ტექნოლოგიისა და შრომის ორგანიზაციის; მარცვლეულის ხარისხიანად აღებისა და დაბინავების; ტექნიკის მომზადებისა და მისი ეფექტიანად გამოყენების; ტრანსპორტის ხელმძღვანელობის; სადისპეტჩერო სამსახურის; მოძრაობის უსაფრთხოების; მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის; სოციალისტური შეჯიბრების; კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების. თითოეულ ამ ჯგუფს აქვს თავისი კომპლექსური ღონისძიებები. გარდა ამისა, ყოველ კოლმეურნეობაში შექმნილია მოსავლის აღების შტაბი, რომელსაც შედგენილი აქვს სამუშაოთა კონკრეტული გეგმა-გრაფიკი და ჰყავს ოპერატიული ჯგუფები. ცნობილია, რომ იპატოვოელთა წარმატებაში დიდ როლს ასრულებს სადისპეტჩერო სამსახური.

ბ. შიუკაშვილი („საქსოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების მმართველი): რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლტექნიკის“ ხელმძღვანელობამ სილნალის რაიონის მოსავლის აღების შტაბის ხელმძღვანელობის მოთხოვნა დააკმაყოფილა და უკვე მოტანილია „ნივას“ სისტემის რადიო-სატელეფონო კვანძი. სადისპეტჩერო სამსახური მოსავლის აღების დროს გამართულად მუშაობს... რაიონულ შტაბს საშუალება აქვს სოფლებში, მინდვრად 50 სტაციონარისა და 35 მოძრავი ტელეფონით ოპერატიულად ისაუბროს იმ საჭიროებოროტო საკითხებზე, რომლებიც მკის დროს წარმოიშობა.

რაიონის სახოგადოებრივი მეურნეობები ტექნიკას მაღალწარმოებლურად რომ იყენებდნენ, ამისათვის „საქსოფლტექნიკის“ რაიონულ გაერთიანებას ექვსი რგოლი და მისი 6 მოძრავი სახელოსნო ყოველდღიურად. მზად არის. აქვთ საჭირო სათადარიგო ნაწილები, ჰყავთ მაღალკვალიფიციური მექანიზატორები. რაიონის 112 კომბაინი, 48 წნეხგამკრეფი მანქანა, 200 სატვირთო ავტომანქანა სავსებით მზად არის სამუშაოდ.

როგორია სილნალელ მემინდვრეთა წლევანდელი ვალდებულებები?

ხუთწლედის მესამე წელს **რაიონის მემინდვრეებმა უნდა აწარმოონ 60.775 ტონა მარცვალი, ჰექტარზე საშუალოდ უნდა მიიღონ 25,8 ცენტნერი. აქედან 53.474 ტონა თავთავიანების მარცვლეული უნდა აწარმოონ. ჰექტარზე უნდა მოიწიონ 26,6 ცენტნერი ხორბალი.**

მოსავლის აღების წინ რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა შტაბის წევრთა გეგმა-გრაფიკის შესაბამისად წესრიგში მოიყვანეს მინდვრის გზები, კალოები, საველე საწყობები, უანისპირები შემოთიბეს, ვიდრე მკას დაიწყებდნენ, საგულდაგულოდ შეარჩიეს სათესლე ნაკვეთები, რომ საშემოდგომო თესვისათვის საკმაოდ ჭეშდეთ მაღალკონდიციური, უხვმოსავლიანი ხორბლისა და ქერის თესლი.

რაიონული შტაბის გეგმა-გრაფიკში დიდი ადგილი აქვს დათმობილი პირუტყვის საკვების დამზადებას, უპირველეს ყოვლისა უხეში საკვების მომარაგებას, სილოსის ჩადგმას. **წლეულს რაიონში უნდა დამზადდეს 147.550 ტონა სხვადასხვა სახის საკვები, მათ შორის 23.015 ტონა ნამჯა, 11.900 ტონა თივა, 46.000 ტონა სენაჟი, 65.150 ტონა სილოსი, 1.000 ტონა თივის ფხვნილი და სხვ.**

ამ დავალების შესრულება მოითხოვს შრომის ზუსტ, სწორ ორგანიზაციას, მანქანა-იარაღების მაღალწარმოებლურ გამოყენებას.

მოსავლის ამდენ-სატრანსპორტო კომპლექსის გეგმა-გრაფიკში თავთავიანების აღებასთან ერთად დიდი ადგილი ეთმობა მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებას. უხეში და წვნიანი საკვებით პირუტყვის უზრუნველსაყოფად შომკილი ნაკვეთები დაეუოვნებლივ იწმინდება ნამჯისაგან. წნეხგამკრეფებით უმალ წნეხავენ ნამჯას, გამოაქვთ და ფერმების ახლოს ზვინავენ. ნაკვეთებში შეაქვთ მინერალური სასუქი და ხნავენ, მიწას ღასათესად მაწინვე ამზადებენ და ნაწვერალზე სიმინდს თესავენ.

ნაწვერალის გასუფთავებაზე და ხვნა-თესვაზე მუშაობს 88 „ბელარუსის“ მარკის ტრაქტორი, 30 წნეხამკრეფი, 113 „დტ-75“ მარკის ტრაქტორი, 104 სატვირთო ავტომანქანა. ნამჯის გამოტანასა და დაზვინვაზე მუშაობს 400-მდე კაცი.

15.161 ჰექტარი თავთავიანებია ასაღები. აქედან 4.800 ჰექტარზე მკის დამთავრებისთანავე ნაწვერალზე სასილოსე სიმინდი დაითესება.

რაიონში თავთავიანები ყველაზე მეტ ფართობზე ბოდბისხევის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობას უთესია. ქერისა და ხორბლის ყანები 2.600 ჰექტარზეა ასაღები. ბოდბისხეველებმა არა მარტო რაიონში, არამედ რესპუბლიკაშიც პირველებმა დაიწყეს ქერის მკა. გეგმა-გრაფიკის მიხედვით 180 ჰექტარი ქერი ორჯერად აიღეს. ოდოქერარობის დამთავრების ფაზაში ყანა ჯერ მომკეს, ორიოდე დღის შემდეგ კი გალეწეს. მოსავლის აღებისთანავე ნამჯა დაწნეხეს და ფერმებთან დაზვინეს. შეიტანეს სასუქი, მოხნეს და სასილოსედ სიმინდი დათესეს.

სილნალის რაიონში იპატოვოელთა მეთოდით ბევრი კარგი საქმე კეთდება. ყოველ კოლმეურნეობას აქვს მოსავლის აღებისა და ნაწვერალზე თესვის გეგმა-გრაფიკი, ჯგუფების მიხედვით მთელი სიზუსტით არის განაწილებული სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები, შრომითი რესურსები, ყოველმა მშრომელმა მექანიზატორმა, მძღოლმა იცის თავისი საქმე და კარგი ამინდის ყოველ საათს მაქსიმალურად იყენებენ. უამინდობის მიუხედავად, რაიონში მოსავალი აღებულია 5.500 ჰექტარზე, ოთ ნაწვერალი დათესილია 1.950 ჰექტარზე.

შირაქიდან იპატოვო შორს როდია

ხილნალის რაიონის მიწათმოქმედთა ინიციატივას — იმეშაონ იპატოვოელთა მეთოდით, სოციალისტური შეჯიბრება გაშალონ „გიგანტის“ კოლექტივის თაოსნობით — პირველად წითელწყაროელი მემინდვრეები და მექანიზატორები გამოეხმაურნენ.

— შირაქიდან იპატოვომდე და „გიგანტამდე“ მანძილი დიდია, მაგრამ ისინი ჩვენგან შორს როდი არიან, — თქვა პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა **თ. გოცსაძემ,** — თუ გული გულობს, დღეკვანდელ პირობებში მანძილი რა მოსატანია! იპატოვოელთა გამოცდილებაზე საკავშირო რესპუბლიკურ პრესაში ბევრი დაიწერა, „საქსოფლტექნიკამ“ ბროშურად გამოსცა, სახელდახელოდ ტელევიზიამაც უტყუარი ცნობები მოგვაწოდა და ამის შემდეგ ეფიქრობთ, არ გაგვიჭირდება მოსავალი იპატოვოელთა მეთოდით უდანაკარგოდ მოკლე დროში ავიღოთ და ნამჯაც დროზე შევაგროვოთ, დავწნეხოთ, ფერმებთან დავზვინოთ, ნაწვერალზე სასილოსე სიმინდი დავთესოთ.

იპატოვოელთა მეთოდით მუშაობა სწორედ წლეულს უამინდობის დროს არის საჭირო. ამისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ და ყოველი მშრომელი ენერგიის დაუზოგავად უნდა შრომობდეს. როგორც ვთქვეთ, წლეულს მეტწილად წვიმდა. ალაზნის ველზე, შირაქსა თუ ტარიბანაში ქერის ყანები ჩაწვა, მკა გაჭირდა. ჩაწოლილი ყანის მკისათვის ჩვენმა მექანიზატორებმა კომბაინის ტარაზუაზე სპეციალური მოწყობილობა დაამონტაჟეს რაც მარცვლის დანაკარგებს მინიმუმამდე ამცირებს.

წითელწყაროს რაიონში წლეულს თავთავიანები ასაღებია 23.998 ჰექტარი. იპატოვოელთა მეთოდის მიხედვით შეავადგინეთ რაიონში მოსავლის ასაღებ-სატრანსპორტო კომპლექსის სქემა. შეიქმნა რაიონული შტაბი. სქემის მიხედვით მოსავლის აღებაზე იმუშავებს 150 კომბაინი. კომბაინები და ვატორანსპორტი გაერთიანებულია 11 კომპლექსში. თერმეტივე კომპლექსის სქემა შედგენილია, განხილულია და დამტკიცებულია კოლმეურნეობათა გამგეობებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბიუროების გაერთიანებულ სხდომებზე.

თითოეული კომპლექსი თავის მხრივ დაყოფილია რგოლებად, რომლებშიც გაერთიანებულია 4-5 კომბაინი, 3-4 ავტომანქანა და სხვა მანქანები და მოწყობილობა. კომპლექსში გაერთიანებულია მოსავლის აღებისა შემდეგ ნაკვეთის ნამჯისაგან გამწმენდთა და დამწნეხთა რგოლი, ნიადაგის დასამუშავებელი და ნაწვერალზე სიმინდის მთესველთა რგოლი, მარცვლის კალოზე პირველად გადამმუშავებელთა რგოლი, მარცვლის კალოდან დამზადების პუნქტში გადამტანთა რგოლი, ტექმომსახურებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების რგოლები.

დიდი ყურადღება ექცევა წახალისების მეთოდის გამოყენებას. კომბაინერთა შრომის ანაზღაურება მომკილი ფართობის მიხედვით კი არა, გალეწილი მარცვლის რაოდენობის გათვალისწინებით ხდება. ეს თავიდან გვაცილებს დანაკარგებს. ამასთან მექანიზატორებს მინდვრად ნახევარფასებში ეძლევათ ცხელი კერძები.

რგოლს, რომელსაც ამა თუ იმ დღეს უკეთესი მაჩვენებლები ექნება, დღის ბოლოს გადაეცემა შრომის დამატებითი საზღაური. იმ კომბაინერებს, რომლებიც ძალს სეზონურ ნორმას დიდი გადამტანები შესრულებენ და 1 ივნისისათვის უზრუნველყოფენ კომბაინის შეკეთებას, მოსავლის აღების პერიოდში, გამომუშავებულ ყოველ მანეთზე დამატებით მიეცემათ თითო კილოგრამი ხორბალი.

რაიონის კოლმეურნეობებში შექმნილი მოსავლის ასაღებ-სატრანსპორტო კომპლექსის სქემის მიხედვით პურეულის აღება, ნამჯის შეგროვება, დაწნეხვა და გადატანა, ნაწვერალზე თესვა უზრუნველყოფილია ტექნოლოგიური ციკლით, იპატოვოელთა მეთოდით ხდება. იპატოვოელთა ტექნოლოგიური ციკლით მუშაობა კარგად დაიწყეს გამარჯვებისა და ჯაფარიძის კოლმეურნეობებმა.

ამ უზარმაზარ ციკლის მიხედვით ყველა კოლმეურნეობა იმუშავებს და დაგეგმილია მოსავალი 12-14 სამუშაო დღეში ავიღოთ, 6.000 ჰექტარზე მოსავალს გაყოფთ, ორჯერად ავიღებთ. მკის პარალელურად 4.000 ჰექტარზე სიმინდი ნაწვერალზე ითესება. მომკილია 5.800 ჰექტარი, ნაწვერალი დათესილია 1.800 ჰექტარზე.

პარტიის რაიკომის ბიუროომ და რაისაბჭოს აღმასკომმა განახილეს მოსავლის აღების, ნამჯის შეგროვებისა და ნაწვერალზე თესვის გეგმა-გრაფიკი. მოსავლის აღება გათვალისწინებულია ორ პერიოდად. პირველ პერიოდში მოსავალს იქ ვიღებთ, სადაც ადრე კელად ადრე შემოდის ყანები. ეს არის ზილიჩის, ალაზნის, ტარიბანის ველები. ამიტომ საჭირო რაოდენობის კომბაინები სხვა კოლმეურნეობებიდანაც იქით გაიგზავნა. შემდეგ მომდევნო მეორე პერიოდში ამ მინდვრებზე მომუშავე კომბაინები გადატანილ იქნება შირაქის ველზე. ასე რომ, რაიონის კომბაინები არც ერთ პერიოდში უქმად არ იდგებიან და დატვირთვაც მაღალი იქნებათ.

მოსავლის ასაღებ-სატრანსპორტო და საკვების დამზადების რაიონული შტაბი მინდვრად მომუშავეებს ყოველდღიურად ადგილზე უწევს ხელმძღვანელობასა და დახმარებას. მინდვრებთან გვაქვს სატელეფონო კავშირი. ყოველ შაბათს ეწყობა შტაბის წევრთა სხდომა. შემოღებულია შტაბის წევრთა ყოველდღიური მორიგეობა. გარდა ამისა „საქსოფლტექნიკის“ რაიონულ განყოფილებას მინდვრად მომუშავე სატრაქტორო ბრიგადებთან მოწყობილი აქვს რადიოკავშირი. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა შტაბს ჰქონდეს უწყვეტი და ზუსტი ინფორმაცია.

ნიმუშად მოგვყავს გამარჯვების **კოლმეურნეობის** მაგალითი.

კოლმეურნეობის მოსავლის ასაღებ-სატრანსპორტო კომპლექსის სქემა ასეთია: კომპლექსს ხელმძღვანელობს კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი მ. ფიროსმანაშვილი, მოადგილეა ვლ. კოტლამაზაშვილი. მოსავლის აღების მიმდინარეობაზე ყოველგვარი ინფორმაცია და წინადადება თუ მოთხოვნა მათთან იყრის თავს, კომპლექსს აქვს ოთხი რგოლი: ტექნიკური მომსახურების რგოლი (ხელმძღვანელი — ჩ. თარაშვილი); [illegible] № 1 რგოლი (ხელმძღვანელი — [illegible]) [illegible] № 2 რგოლი (ხელმძღვანელი [illegible]) და მეოთხე კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების რგოლი (ხელმძღვანელი — ზ. ბიკაშვილი).

ტექნიკური მომსახურების რგოლს აქვს მანქანა „გოსნიც-2“, ჰყავს საწყვეის მინდვრად გამწყობი, გამმართველი ოსტატი, შემდღეველი, აქვს წყლის ავტოცისტერნა.

№ 1 მოსავლის ასაღებ-სატრანსპორტო რგოლში შედის ოთხი კომბაინი „სკ-5“ და ოთხი სატვირთო ავტომანქანა; № 2 რგოლშიც ოთხი კომბაინი „სკ-5“ და ოთხი სატვირთო ავტომანქანაა გაერთიანებული. კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების რგოლში შედის ორი მზარეული, არის სამედიცინო პუნქტი და აგიტპუნქტი.

გარდა ამისა, კოლმეურნეობის მოსავლის ასაღებ-სატრანსპორტო კომპლექსში შედის ნამჯის გამომტან-დამწნეხთა და დამზვინავთა რგოლი, რომელსაც 8 სხვადასხვაგვარი მანქანა აქვს. მარცვლეულის ელევატორში გადამტანთა რგოლს აქვს 10 სატვირთო ავტომანქანა, კალოზე მარცვლის გადამმუშავებელთა დამხმარე რგოლში სხვადასხვა სახეობის 7 მარცვლასწმენდი მანქანაა და 8 კაცია გაერთიანებული, ნიადაგის დამმუშავებელთა რგოლს 6 „დტ-75“ მარკის ტრაქტორი აქვს; ნაწვერალზე მთესველთა რგოლს სამი მანქანა ემსახურება.

წითელწყაროელები იპატოვოელთა გამოცდილებას წარმოებაში ფართოდ ნერგავენ და ამის დიდი იმედი აქვთ, ვარაუდობენ, რომ მოსავალს მოკლე დროში უდანაკარგოდ აიღებენ და ნაწვერალზე სასილოსედ საკმაო ფართობზე დათესავენ სიმინდს, ამით განამტკიცებენ მეცხოველეობის საკვებ ბაზას.

ლაგოდეხელები ითვალისწინებენ

სანამ პარტიის ლაგოდეხის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი იპატოვოელთა გამოცდილების გადმოღებაზე იმსჯელებდნენ, ერთხელ კიდევ გულდასმით შეისწავლეს ყოველი კოლმეურნეობის მინდვრების ბუნებრივი პირობები და მხოლოდ ამის შემდეგ შეადგინეს მოსავლის აღებისა და ნაწვერალზე სასილოსე სიმინდის თესვის გეგმა-გრაფიკი.

იპატოვოელთა გამოცდილებას ახლა ყველა კოლმეურნეობაში იცნობენ. მათი მეთოდით დააკომპლექტეს მოსავლის ასაღებ-სატრანსპორტო კომპლექსი. შეიქმნა იმდენი კომპლექსი, რამდენი კოლმეურნეობაც არის. თითოეულ კოლმეურნეობას ასაღებ-სატრანსპორტო კომპლექსის სამუშაო სქემა აქვს.

—იპატოვოელთა გამოცდილება ნამდვილად სასარგებლო, კარგი საქმეა, — ამბობს პარტიის ლაგოდეხის რაიკომის პირველი მდივანი **ლ. კიბაბიძე,**—მაგრამ ამ მეთოდის ყველგან პირდაპირი გადმოღება სწორი არ იქნება. ავიღოთ თუნდაც ჩვენი რაიონის ბუნებრივი პირობები. ჩვენთან, ალაზნისპირა მინდვრები ერთობ დაბლობია, წვიმების დროს ყანებში წყალი დგება და კარგა ხანს მიწა არ შრება. ასეა ამეამადაც, ხანგრძლივი წვიმების შემდეგ პურეულის ნათესები ზომაზე მეტად ტენიანი გახდა. ბოლო დროს, სულ ახლახან, დიდ ნალექიანი წვიმები იმ დროს მოვიდა, როცა მკის დაწყებას ვაპირებდით. ასეთ პირობებში პურეულის ორჯერად აღება მიზანშეწონილად მიეჩნიეთ, რადგან მომკილი ღვარეულები ერთი ღამის შემდეგ დაბლა იწევენ და თავთავებისა და ღეროების მნიშვნელოვანი ნაწილი მიწას ეკარება. ცხადია, ასეთ პირობებში მომკილი პურეულის გალეწვა გაჭირდება და მარცვლის დანაკარგიც იმატებს. ასე რომ, ორჯერად აღება ჩვენს პირობებში ხელსაყრელი არ არის.

ჩვენში ხშირადაც რომ არ წვიმდეს, ალაზნის პერიოდში ღამით ყანები ისე დაინამება ხოლმე, რომ მეორე დღეს ათ-თორმეტ საათამდე, სანამ თავთავებს მზე არ გააფიცხებს, მკა შეუძლებელია.

ყოველივე ეს სპეციალისტებმა, რაიონის სახელოვანმა მემინდვრეებმა და მექანიზატორებმა გათვალისწინეს და გადაწყვიტეს, რომ ამჯერად მოსავალი მეტ წილად ჩვეულებრივი წესით აიღონ. იპატოვოელთა კომპლექსებს დანარჩენ სამუშაოს რაიონის მიწათმოქმედნი დიდი დიდი გულისყურით მოეკიდნენ, მოიწონეს და მუშაობაც მათი მეთოდით მიმდინარეობს.

იპატოვოელთა მაგალითი კოლმეურნეობების მიხედვით შეადგენეთ მოსავლის ასაღებ-სატრანსპორტო კომპლექსის სქემა. ზუსტად გავითვალისწინეთ თითოეული საზოგადოებრივი მეურნეობის მინდვრების თავისებურებანი, ტექნიკური შესაძლებლობანი, შრომითი რესურსები და რეზერვები.

სანიმუშოდ უნდა მოვიყვანოთ ნინიგორის კოლმეურნეობა „დრუჟბას“ მოსავლის ასაღებ-სატრანსპორტო კომპლექსის სქემა:

მოსავლის ასაღებ-სატრანსპორტო კომპლექსს ხელმძღვანელობს ვ. ბაზტაძე, პირველ რგოლში გაერთიანებულია სამი კომბაინი და ოთხი სატვირთო მანქანა, მეორეშიც ასევე — სამი კომბაინი და ოთხი სატვირთო ავტომანქანაა. ტექნიკური მომსახურების რგოლს აქვს მანქანები: „გოსნიტ-2“, ერთი გამმართველი, ჰყავს ერთი საწვეის გამწყობი, ერთი შემკეთებელი. მოქმედებს ავრეთვე არამარცვლეულის ამღებთა რგოლი, რომელსაც აქვს სამი ნამჯის წნეხამკრეფი და 10 სხვადასხვა სახეობის მანქანა. შექმნილია კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების, ნაკვეთის მომამზადებელთა და მოსავლის აღების შემდეგ ნიადაგის დამმუშავებელთა და ნაწვერალზე მთესველთა რგოლები. ამ რგოლებს აქვთ ყველაფერი, რაც საჭიროა მოსავლის დროულად და უ

საერთაშორისო ცხოვრება

ᲓᲦᲔᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲦᲔᲡ

უგულებელყოფენ სანქციებს

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 11 ივლისი. (საკ-დესი). დასავლეთის მონოპოლიები უგულებელყოფენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სანქციებს და კვლავ ავითარებენ ეკონომიკურ ურთიერთობას იან სმიტის რასისტულ რეჟიმთან როდეზიაში. ამის მოწმობს იმ მოხსენების მონაცემები, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკოლონიზაციის კომიტეტმა მოამზადა. მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ დასავლეთის კომპანიები, უწინარეს ყოვლისა ამერიკის, ინგლისისა და სამხრეთ აფრიკის კომპანიები ხელს უწყობენ სოლსბერის რასისტული რეჟიმის განმტკიცებას, ხელს უშლიან კოლონიური ქვეყნებისა და ხალხების დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის განხორციელებას, ძირს უთხრიან სამხრეთ აფრიკაში კოლონიალიზმის, აპარტეიდისა და რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის ღონისძიებებს. მოხსენების მონაცემებით, როდეზიის ტერიტორიაზე ამჟამად მოქმედებს 190-ზე მეტი ინგლისის, 60-მდე ამერიკისა და 50 სამხრეთ აფრიკის კომპანია.

მაგალითად, კორპორაციები „მობილ ოილი“, „კალტექსი“, „ბრიტიშ პეტროლეუმი“, „შელი“ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში შექმნილი შუამავალი firmebis ნეოხებით როდეზიის რეჟიმს ამარაგებენ ნავთობპროდუქტებით.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ როდეზიაში განუწყვეტლივ იზრდება უცხოთის ინვესტიციების რიცხვი.

ისრაელი ამყვავებს ვიეთარეგას

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ, 10 ივლისი. (საკ-დესი). გაურკვევლობისა და არასტაბილურობის ატმოსფერო, რაც გამოწვეულია უკანასკნელი შეიარაღებული შეტაკებებით აღმოსავლეთ ბეირუთში, კვლავ იხდენს გავლენას ლიბანის შინაპოლიტიკურ ცხოვრებაზე. არაბულ სახელმწიფოთა მშვიდობის დამცველი ძალები და მემარჯვენე ქრისტიანული მილიციის შეიარაღებული რაზმები მათ მიერ დაკავებულ პოზიციებზე რჩებიან, ზოგიერთ რაიონში ჯერ კიდევ გასმის აფეთქების ხმა, სროლა, მრქმედებენ სნაიპერები. იქ დღემდე არ მუშაობენ დაწესებულებანი, ბანკები, მაღაზიების უმრავლესობა.

პრაქტიკულად მთლიანად ბლოკირებულია მამოსავლი ბეირუთის ორ სექტორს შორის. ამგვარ მდგომარეობას აქეზებს ისრაელი და სამხრეთში თავმოყრილი მემარჯვენე ქრისტიანული ძალები ხელს უწყობენ პროვოკაციული მოქმედების აქტივიზაციას ლიბანისა და მის კანონიერ ხელისუფალთა წინააღმდეგ. ამ ბოლო დღეებში კონსერვატორთა შეიარაღებულმა ქვეგანაყოფებმა, რომლებსაც ტელ-ავივმა გადასცა საზღვრისპირა ანკლავი, რამდენჯერმე სცადეს დაეკავებინათ პოზიციები, რომლებსაც კონტროლს უწევენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროებითი ძალები.

საშიში თამაში

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 10 ივლისი. (საკ-დესი). ჩინეთში დამთავრდა ამერიკის მთავრობის დელეგაციის ვიზიტი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩეველის ფ. პრესის მეთაურობით. მაღალი თანამდებობის ამერიკელმა ემისარმა განაცხადა პეკინში, რომ მალე მოსალოდნელია მეცნიერული და ტექნიკური კონტაქტების „მნიშვნელოვანი გაფართოება“ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის. ამასთან მან ხაზი გაუსვა, რომ გაშინგტონსა და პეკინს „საერთო ინტერესები“ აქვთ.

ვაშინგტონში ამტკიცებენ, თითქოს ამ ვიზიტის მიზანია მხოლოდ ამერიკა-ჩინეთის „მეცნიერული კონტაქტების“ განვითარება. სინამდვილეში კი საქმე ეხება ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების გაზრახვას ხელმისაწვდომი გახადონ პეკინისათვის დასავლეთის ტექნოლოგია, კერძოდ სამხედრო ტექნოლოგია, გითამამშონ „ჩინური კოზირი“ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

სპორტის ამბები

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ

„დინამო“ — „ნაპოლი“

ᲒᲣᲨᲘᲜ ციურიხში გაიმართა ფეხბურთელთა ევროპულ ტურნირებში მონაწილე გუნდების წილისყრა. თბილისის „დინამო“, რომელიც უეფას თასის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას, ოცდამეთორმეტედფინალში შეხვდება იტალიის „ნაპოლის“. ამ გუნდების პირველი მატჩი გაიმართება თბილისში. უეფას თასისათვის იბრძოლებს მოსკოვის „ტორპედოც“. ტორპედოელები პირველ მატჩს მოსკოვში ნორვეგიის „მოლდესთან“ გამართავენ.

კიევის „დინამო“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალურ მატჩში შეხვდება ფინეთის „ვალკეაკოსკენ ხაკას“ (პირველი მატჩი — ფინეთში).

სარ კავშირის თასის წლევანდელ გათამაშებაში გამარჯვებულის მეტოქე თასების მფლობელთა თასის ტურნირის მეთექვსმეტედფინალში იქნება ესპანეთის „ბარსელონა“ (პირველი შეხვედრა — ესპანეთში).

ევროპული ტურნირების პირველი მატჩები გაიმართება 13 სექტემბერს, განმეორებითი — 27 სექტემბერს.

ᲭᲘᲓᲝᲑᲐ

მალხაზ ლექავა — უძლიერესი

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ქალაქ დონინიმილანოვაცში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში „დუნაის თასზე“. ასპარეზობაში თავი ისახელა თბილისელმა მალხაზ ლექავამ (82 კგ-მდე წონა). მან ამ წონითს კატეგორიაში ოქროს მედალი მოიხვეჭა, ოქროს მედალი მოიპოვეს აგრეთვე მოსკოველმა ვ. პივოვაროვმა (57 კგ), ერევნელმა ა. მინასიანმა (90 კგ) და ულიანოვსკელმა ნ. ინკოვმა (100 კგ). ვერცხლის მედლები წილად ხვდათ როსტოველ დ. ხატუნოვს (52 კგ) და ზაპოროჟიელ ვ. ვოკას (100 კგ).

გუნდური გამარჯვება მოიპოვეს მასპინძლებმა და მათვე გადაეცათ „დუნაის თასი“. საბჭოთა ნაკრები, რომელმაც მხოლოდ ექვსი მოკიდაგით ინსპარეზე, მეორე ადგილზე გავიდა.

რეგბი

ფრე — ლიდერთან

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ უმაღლესი ლიგის რეგბისტთა გუნდების ფინალური ექვსეულის მორიგი მატჩები. თბილისის „ლოკომოტივი“ ეწვია კიევს და იქ გათამაშების ლიდერს — „ავიატორს“ შეხვდა. უაღრესად დაძაბული მატჩი დამთავრდა ფრედ — 12:12 (0:0). დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „პოლიტეხნიკი“ (კიევი)-„სლავა“ (მოსკოვი) — 3:20 (3:10), „ფილი“ (მოსკოვი)-„ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — 4:3 (0:0).

12 ივლისისათვის გათამაშების ცხრილში მდგომარეობა ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ავიატორი“	7	5	2	0	107-39	12
„ლოკომ.“ თბ.	7	4	1	2	112-71	9
„სლავა“	7	4	0	3	115-68	8
„ფილი“	7	2	2	3	40-87	6
„ლოკომ.“ მ.	7	2	1	4	49-56	5
„პოლიტეხ.“	7	1	0	6	59-161	2

„კოლმეურნე“ — პირველი

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲔᲑᲐ „კოლმეურნის“ სპორტსმენებმა თავი ისახელეს მშთ მრავალქიდში თბილისში გამართულ საუწყებათაშორისო პირად-გუნდურ შეჯიბრებაში: მთ გუნდურ ასპარეზობაში პირველობა ორავის დაუთმეს, მეორე ადგილი წილად ხვდათ სპარტაკელებს, მესამე — განთიადელებს.

მშთ მრავალჭიდის საფეხურების მიხედვით გამარჯვებულები არიან: ქალები — ლ. სანჯაროვა, ლ. შუმილინა (ორივე — „კოლმეურნე“), კ. გუნბა („განთიადი“) და ლ. ჯინჯიხაშვილი („სპარტაკი“); ვაჟები — მ. გუმბერიძე („ბურევესტნიკი“), ვ. ჭარბაძე („დინამო“), ვ. ბეკეშვილი და ფ. გიბუნია (ორივე — „სპარტაკი“).

მოკლედ —

ᲤᲠᲐᲜᲒᲤᲣᲠᲢᲘ. ქალაქ ოსტრავაში (ჩეხოსლოვაკია) გამართულ საერთაშორისო ტურნირში სარ კავშირის ვაჟთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა პირველობა არავის დაუთმო. საბჭოთა ფრენბურთელებმა ყველა მატჩი მოიგეს. ტურნირში მონაწილეობდნენ აგრეთვე ბელგრადის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები.

ᲕᲔᲚᲜᲝᲠᲒᲝᲚᲐ. ტალინში გაიმართა წრიული ჭგუფური რბოლა (კრიტერიუმი), რომელშიც ყველას აჯობა კუიბიშეველმა ალექსანდრე ავერინმა. ორივ პიკუესმა (ტარტუ) და ვიტაუტას გალინუსკასმა (რიგა) შესაბამისად მეორეს და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲧᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲡᲠᲘᲓᲔᲑᲘ

◆ ᲑᲣᲔᲜᲝᲡ-ᲐᲘᲠᲔᲡᲘ. პარაგვაის დიქტატორის სტრესნერის ხაიდუმლო პოლიციამ დაატყვევა ოპოზიციის თვალსაჩინო მოღვაწე, პარაგვაის ლიბერალური პარტიის თავმჯდომარის მოადგილე დომინგო ლაინო. მის წინააღმდეგ აღძრულია „საქმე“ „ეროვნული ინტერესებისათვის ზიანის მიყენების“ ბრალდებით.

დომინგო ლაინომ ხაზგარგარეთ მოგზაურობის დროს სხვადასხვა ქვეყნის ხაზოგადოებრიობას მიაწოდა ინფორმაცია, თუ როგორ არღვევს ადამიანის უფლებებს სტრესნერის რეჟიმი. დაბრუნების მეორე დღეს იგი დააპატიმრეს.

◆ კუალა-ლუმპური. შეჯამებულია მალაიზიის ფედერალური პარლამენტის წარმომადგენელთა პალატისა და 10 შტატის საკანონმდებლო კრებების შაბათს გამართული არჩევნების შედეგები. გაიმარჯვა მმართველმა კოალიციამ — ეროვნულმა ფრონტმა, რომელშიც შედის ქვეყნის ათი ძირითადი პოლიტიკური პარტია. ეროვნულმა ფრონტმა, რომელსაც ხათავეში უდგას პრემიერ-მინისტრი ჰუსეინ ონმი, ფედერალურ პარლამენტში 154-დან 98 ადგილი მიიღო.

◆ ლუანდა. ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მმართველი პარტიის მპლა — შრომის პარტიის პოლიტიკას მხარი დაუჭირეს მასობრივი მანიფესტაციების მონაწილეებმა, რომლებიც ქვეყნის ყველა რაიონში გაიმართა. მათ შორის იყვნენ მუშები და ელეხები, მოსამსახურეები და სტუდენტები.

ხაზოგადოებრიობის მიტინგებსა და კრებებზე მოწონებულ რეზოლუციებში ხაზგასმულია, რომ ხალხია განამტკიცონ ანგოლელი ხალხის ერთიანობა აფრიკაში იმპერიალიზმის მანევრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘᲡ პროპაგანდის მტკიცებლების ხაწინააღმდეგოდ, თითქოს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა ავიწროებდნენ ჩინური ეროვნების პირებს, ვიეტნამში მცხოვრები ჩინელები ქვეყნის სხვა ეროვნებებთან ერთად რესპუბლიკის მოქალაქის ყველა უფლებებით სარგებლობენ.

ონ დიკ ბინმა, ეროვნებით ჩინელმა, შრომითი საქმიანობა უბრალო მუშად დაიწყო და მექანიკოსი გახდა. ამჟამად იგი ბაღნოის მანქანათსაშენებელი ქარხნის ელექტრომექანიკური ხაამქროს უფროსის მოადგილეა. ვიეტნამის კომპარტიის წევრი ონ დიკ ბინი წარმოებას მოუწყვეტლივ ამთავრებს ჰანოის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: ონ დიკ ბინი (შარცხნივ) ქარხნის მუშებთან ერთად.

ᲤᲘᲐ-ᲡᲐᲥᲠᲔᲡᲘᲡ ფოტო.

ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲕᲘᲔᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲜᲝᲢᲐ

ᲰᲐᲜᲝᲘ, 11 ივლისი. (საკ-დესი). ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დროებით საქმეთა რწმუნებულს ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში გადასცა ნოტა, რომელშიც ენერგიულ პროტესტს უცხადებს ჩინეთის მხარის საზიში მოქმედების წინააღმდეგ.

ნოტაში აღნიშნულია, რომ 1978 წლას 8 ივლისს ჩინეთის სამხედრო თვითმფრინავებმა არაერთხელ დაარღვიეს ვიეტნამის საჰაერო სივრცე. განსაკუთრებით სერიოზული იყო ჩინეთის სამხედრო თვითმფრინავების ორი შემოჭრა, როცა ისინი ღრმად შემოვიდნენ კუანგნინისა და კაოლანგის პროვინციის საჰაერო სივრცეში და დიდხანს იყვნენ იქ:

— ჩინეთის ორმა სამხედრო თვითმფრინავმა 7 საათსა და 18 წუთზე გადმოლახეს საზღვარი კუანგინინის პროვინციის დონჰისა და ჰაკოის რაიონებში და შემოიჭრნენ 25 კილომეტრზე სიღრმეში.

— 7 საათსა და 20 წუთზე ჩინეთის ორმა სამხედრო თვითმფრინავმა დაარღვია საზღვარი კაოლანგის პროვინციის კუანგჭოის რაიონში და შემოიჭრა რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში 30 კილომეტრზე. ჩინეთის მხარის ეს საშიში მოქმედება, ხაზგასმულია ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტაში, სერიოზულად არღვევს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. ვიეტნამის მხარე ენერგიულ პროტესტს აცხადებს და მოითხოვს ჩინეთის მხარისაგან დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ეს მოქმედება.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში უარი თქვა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტის მიღებაზე.

15-კილოგრამიანი „კანგარუ“

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲓᲔᲚᲤᲘᲜᲐᲠᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲘ



ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲓᲔᲚᲤᲘᲜᲐᲠᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲘ

ᲘᲡ-ᲘᲡ იყო თხუთმეტკილოგრამიანი „პაწაწა“ ამ ქვეყნად გაჩნდა, რომ მაშინვე ხელში აიყვანეს ბათუმის დელფინარიუმის თანამშრომლებმა. მათ უყურადღებოდ არც ახალშობილის დედა — „მზეთუნახავი ვასილისა“ დარჩენიათ.

ტყვეობაში დელფინის დაბადების მეხუთე შემოხვევას ექიმები და მომვლინიერებლები დიდის ამბით შეხვდნენ. ახალ მობინადრეს გულმოდგინედ უვლიან, პატარა დელფინის ქცევის მონაცემებს იწერენ და აანალიზებენ. პატარა კი თავს უკვე მშვენივრად გრძნობს აუზში, მაგრამ ვასილისას დიდი მანძილით არ სცილდება, მხოლოდ ცოტათი თუ წაიცელქებს მას შემდეგ, რაც „მკაცრი“ დეიკო ხაქმელს აქმევს.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: ვასილისა შვილთან ერთად ბათუმის დელფინარიუმში.

ნ. ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲔᲕᲘᲡ ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞᲡᲠ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443

УЕ 10096

380036 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივანს — 99-72-80, ხამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-53-46, ხაბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი ხასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

საქართველოს სსრ მეურნეობის სამინისტრო

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲚᲘᲔᲑᲐᲡ 1978-79 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ:

1. ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲔᲑᲨᲘ:

1. მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, საბუღალტრო აღრიცხვა — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. აგრონომია, მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, საბუღალტრო აღრიცხვა საშუალო სკოლის ბაზაზე.

2. ᲐᲮᲘᲜᲯᲕᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲐ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲔᲑᲨᲘ:

1. მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით (ქართული სექტორი), საბუღალტრო აღრიცხვა (რუსული სექტორი) — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; ს. მ. წარმოების დაგეგმვა (ქართული (სექტორი), სოფლის მეურნეობის მექანიზაცია (ქართული და რუსული სექტორი), მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით (რუსული სექტორი) საშუალო სკოლის ბაზაზე.

3. ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲐ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲔᲑᲨᲘ:

სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, საბუღალტრო აღრიცხვა, მეხილეობა-მებოსტნეობა — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; სოფლის მეურნეობის მექანიზაცია (სომხური სექტორი), საბუღალტრო აღრიცხვა (ქართული და სომხური სექტორი) — საშუალო სკოლის ბაზაზე.

4. ᲒᲐᲗᲝᲗᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲔᲑᲨᲘ:

1. მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით, საბუღალტრო აღრიცხვა — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. აგრონომია, მეხილეობა-მებოსტნეობა — სუბტროპიკული განხრით, სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა, საბუღალტრო აღრიცხვა — საშუალო სკოლის ბაზაზე.

5. ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲪᲘᲮᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲐ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲔᲑᲨᲘ: ᲓᲦᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐᲖᲔ:

აგრონომია, მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა, საბუღალტრო აღრიცხვა—არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; აგრონომია; მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა, საბუღალტრო აღრიცხვა — საშუალო სკოლის ბაზაზე;

ᲓᲐᲡᲬᲠᲘᲤᲔᲑᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐᲖᲔ: მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. აგრონომია, მეხილეობა-მებოსტნეობა-სუბტროპიკული განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია; სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა — საშუალო სკოლის ბაზაზე;

6. ᲒᲔᲒᲔᲫᲙᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲔᲑᲨᲘ:

1. აგრონომია, მეხილეობა-მებოსტნეობა-სუბტროპიკული განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, საბუღალტრო აღრიცხვა — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. აგრონომია, მეხილეობა-მებოსტნეობა-სუბტროპიკული მეხილეობის განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია (სომხური სექტორი), საბუღალტრო აღრიცხვა (ქართული და სომხური სექტორი) — საშუალო სკოლის ბაზაზე;

7. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲤᲘᲫᲕᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲔᲑᲨᲘ:

1. მეხილეობა-მებოსტნეობა-სუბტროპიკული განხრით, საბუღალტრო აღრიცხვა — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა, საბუღალტრო აღრიცხვა, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია — საშუალო სკოლის ბაზაზე.

8. ᲒᲝᲠᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲣᲚ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲐ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲔᲑᲨᲘ:

კომბინირებული საკვების წარმოების ტექნოლოგია, მეხილეობა-მებოსტნეობა, სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; კომბინირებული საკვების წარმოების ტექნოლოგია, მეხილეობა-მებოსტნეობა, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია; სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა — საშუალო სკოლის ბაზაზე;

9. ᲓᲘᲓᲘ ᲯᲘᲮᲐᲘᲨᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲔᲑᲨᲘ:

სპეციალური განყოფილება აგრონომ-ორგანიზატორი) ხილბოსტეულის დაკონსერვების ტექნოლოგია, გაძღვანება, მეხილეობა-მებოსტნეობა, საბუღალტრო აღრიცხვა, საქმის წარმოების ორგანიზაცია საშუალო სკოლის ბაზაზე.

10. ᲜᲘᲪᲐᲕᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲔᲑᲨᲘ:

1. მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, საბუღალტრო აღრიცხვა არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა, საბუღალტრო აღრიცხვა — საშუალო სკოლის ბაზაზე;

11. ᲜᲘᲪᲐ ᲔᲥᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲐ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲔᲑᲨᲘ:

1. მეხილეობა-მებოსტნეობა-სუბტროპიკული განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. მეხილეობა-მებოსტნეობა — სუბტროპიკული განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია — საშუალო სკოლის ბაზაზე;

12. ᲗᲝᲚᲐᲕᲘᲡ Ლ. Მ. ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲔᲑᲨᲘ:

სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია; მეცხოველეობის მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, მეცხოველეობის მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია — საშუალო სკოლის ბაზაზე.

13. ᲙᲣᲚᲐᲨᲘᲡ ᲖᲝᲝᲗᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲔᲑᲨᲘ:

1. ზოოტექნიკა, ვეტერინარია, მეფრინველეობა — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. ზოოტექნიკა, ვეტერინარია, მეფრინველეობა — საშუალო სკოლის ბაზაზე;

14. ᲚᲐᲘᲗᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲐ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲔᲑᲨᲘ:

მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; მეხილეობა-მებოსტნეობა-სუბტროპიკული განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია; სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა — საშუალო სკოლის ბაზაზე;

15. ᲛᲐᲠᲢᲘᲣᲜᲘᲡ Ლ. Მ. ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲔᲑᲨᲘ:

მიწათმოწყობა, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; მიწათმოწყობა, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია, მეცხოველეობის მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია — საშუალო სკოლის ბაზაზე.

16. ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲔᲑᲨᲘ:

1. სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა, საბუღალტრო აღრიცხვა — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა, საბუღალტრო აღრიცხვა, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, მეცხოველეობის მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია — საშუალო სკოლის ბაზაზე.

17. ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲐ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲔᲑᲨᲘ:

ვეტერინარია (ქართული სექტორი), საბუღალტრო აღრიცხვა (რუსული სექტორი) — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; აგრონომია (რუსული სექტორი), ზოოტექნიკა (ქართული სექტორი) — საშუალო სკოლის ბაზაზე;

18. ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐᲛᲫᲦᲕᲠᲘᲐᲜᲝᲑᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲔᲑᲨᲘ: 1. ვეტერინარია საბუღალტრო აღრიცხვა — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. მეხილეობა-მებოსტნეობა-სუბტროპიკული განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, მეცხოველეობის მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია — საშუალო სკოლის ბაზაზე.

19. ᲤᲜᲠᲘᲡ ᲖᲝᲝᲗᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲔᲑᲨᲘ:

1. ზოოტექნიკა, ვეტერინარია, მეფრინველეობა — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. ზოოტექნიკა, ვეტერინარია, მეფრინველეობა — საშუალო სკოლის ბაზაზე.

20. ᲤᲣᲚᲣᲙᲘᲫᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲔᲑᲨᲘ:

1. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე.

2. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, მეცხოველეობის მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია — საშუალო სკოლის ბაზაზე.

ᲛᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ:

ტექნიკუმებში დღის განყოფილებებზე მიიღებიან ორივე სქესის 30 წლამდე ასაკის მოქალაქენი, ხოლო დაუწყვეტელ განყოფილებაზე განუსაზღვრელად ასაკისა